



ახალი ტანთლუტს

№24 (618) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

ვიზრომით დაუზარლად და სხვასაც გავუნოდოთ დახმარების ხელი

რუბრიკის სტუმარია ნინო გვეტაძე

გვერდი 6



დეკლარაცია უნივერსიტეტების ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ

საჯაროდ განხილვისათვის წარმოდგენით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დეკლარაციას უნივერსიტეტების ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ. გთხოვთ, 2013 წლის 30 ივნისამდე თქვენი მოსაზრებები წარმოდგენილი დეკლარაციის შესახებ გააგზავნოთ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე - declaration@mes.gov.ge

გვერდი 2

სტანდარტიზებული ტესტირება ხარისხიანი განათლების წინააღმდეგ

ერთი საგანმანათლებლო ინისიატივის გამო

გვერდი 2

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის უსტაბილი გამოსაშვები გამოცდებისთვის

ბიოლოგია 8 ლარი	ტექნოლოგია 4 ლარი	ქართული ენა და ლიტერატურა 4,5 ლარი	ფიზიკა 12 ლარი	ბიოლოგია 5,5 ლარი	ქიმია 7,5 ლარი	ფიზიკა 6,5 ლარი
---------------------------	-----------------------------	--	--------------------------	-----------------------------	--------------------------	---------------------------

ტარტა პირველი კონკრეტული	ტარტა პირველი კონკრეტული	ტარტა პირველი კონკრეტული
პირველი კონკრეტული	პირველი კონკრეტული	პირველი კონკრეტული

ნიმუში I - კველი ქართული მწერლობა;
ნიმუში II - „ვეფხისტყაოსანი“;
ნიმუში III - XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომარტელი

თითოეული კრებულის ფასი - 10 ლარი

- ◆ კრებულებში ნახვით თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
- ◆ მათი მეშვეობით გაგიაღვიწღებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
- ◆ სწორი პასუხების შემთხვევაში შედეგად თქვენ გაქვებთ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
- ◆ თქვენ შექვებთ დაქლიოთ ყველა საგამოცდო სირთულა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებასა და მემორანდუმს დასახელებული საკითხების შესახებ

დეკლარაცია უნივერსიტეტების ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებასა და მემორანდუმს დასახელებული საკითხების შესახებ, რომელიც სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთი ცენტრალური რგოლი, ადასტურებს თავის ერთგულებას საზოგადოების დემოკრატიულად განვითარების პრინციპების მიმართ. ამ პრინციპების მიზანია, დაცული იყოს არა მარტო თითოეული სოციალური, ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის, არამედ თითოეული პიროვნების, მოქალაქის ფუნდამენტური თავისუფლებები და აქედან გამომდინარე ინტერესები. ეს, თავის მხრივ, მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც თითოეული პიროვნება წარმოადგენს ავტონომიურ ინდივიდს, რომელიც იმავდროულად თავისუფალი, დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვანი წევრია. ჯერ კიდევ ვიღაცემ ფონ ჰუმბოლდტი აღნიშნავდა, რომ სწორედ უნივერსიტეტი (უმალესი სასწავლებელი) ის ადგილი, სადაც ასეთი ინდივიდის აღზრდას, ჩამოყალიბებას, თვითგანვითარებასა და თვითრეალიზებას შეუწყობს ხელი, ანუ, ეს ნიშნავს, რომ ადამიანი თავისუფალ, სამართალცნობიერ და ზნეობრივ პიროვნებად ყალიბდება. ასეთი ადამიანები, როგორც მოქალაქეები, საზოგადოებაში ერთმანეთს მოიაზრებენ და აღიარებენ თავისუფალ და თანასწორ პიროვნებად. ჩვენი ქვეყნის, როგორც დემოკრატიული სამყაროს ნაწილის, მომავალი დამოკიდებულია ასეთი მოქალაქეებისათვის, პიროვნებისათვის იმგვარი სასწავლო-აღმზრდელობითი გარემოს შექმნაზე, რომელიც და რომლის საშუალებითაც კულტურული კაცობრიობის უსაკუთრეველი და უმნიშვნელოვანესი ღირებულებები – თავისუფლება და ღირსება – იქნება დაცული. ასეთი გარემოს შექმნა, განვითარება და განვითარება კი თავისუფალ აკადემიურ სივრცესა და ავტონომიურ უნივერსიტეტს შეუძლია. სწორედ იმისათვის, რომ თავისუფალი აკადემიური სივრცე შეიქმნას და ავტონომიური უნივერსიტეტი შედგეს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნდა ჩამოყალიბდეს და დაინერგოს ფუნდამენტური პრინციპები და დამატებითი მათი განხორციელების გზები:

1. დასახული მიზნების შესაბამისად, ქართულ აკადემიურ სივრცეში სათავე უნდა დაედოს უნივერსიტეტების მონაცემების ისეთ სისტემას, რომლის პირობებშიც შესაძლებელი იქნება უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპების რეალურად განხორციელება.

2. უნივერსიტეტის, როგორც ავტონომიური წარმონაქმნის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა, ცოდნა არა მარტო ახალგაზრდა თაობას

(სტუდენტებს) გაუზიაროს, არამედ მთელ საზოგადოებას, რაც სწორედ იმის ნაწინდარი იქნება, რომ საზოგადოების თითოეული წევრი თავად ჩამოყალიბდეს ავტონომიურ ინდივიდად. ავტონომიური ინდივიდი კი არის ადამიანი, რომელიც გონებრივ მოწინააღმდეგეობას, თვითთანადრეგულირებას და შემდგომ თვითკმარობას საკუთარი გონების გამოყენებით მიაღწევს და არა სხვისი კარნახით.

3. უნივერსიტეტის ავტონომიურობის პრინციპი სტუდენტთა და მასწავლებელთა თავისუფლებას უზრუნველყოფს და მომდინარეობს თავად ავტონომიურობის იდეის არსიდან, რაც აკადემიურ კონტექსტში გამოიხატება იმაში, რომ აკადემიური სივრცე თავად ადგენს თავისი ფუნქციონირების კანონებსა და წესებს, რომლებიც თავიდანვე გამოირჩევა ყოველგვარი თვითნებობის გამოვლინებას და აკადემიური თავისუფლების საფუძველი, საყრდენი და გარანტია.

უნივერსიტეტის ავტონომია ეფუძნება უმალესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტთა ერთიანობას და მოიცავს როგორც გარეშე ფაქტორებისაგან დამოუკიდებლობას, ისე შიდა ავტონომიურობას.

ა) გარეშე ფაქტორებისაგან დამოუკიდებლობა გულისხმობს, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის დაცული უნდა იყოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-ფინანსური ზეგავლენისაგან. უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს სრული ფინანსური ავტონომია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბიუჯეტის სრული მოცულობა ან მისი დიდი ნაწილი სახელმწიფოსგან ფინანსდება. ეს ნიშნავს, რომ უნივერსიტეტს უნდა შეეძლოს თავისი ბიუჯეტის გონივრული, თავისუფალი და სამართლიანი განკარგვა სრული აკადემიური თავისუფლების განხორციელებისათვის. უნივერსიტეტი არ უნდა განიცდიდეს სოციალური, პოლიტიკური თუ რელიგიური ჯგუფებისა თუ პარტიების გავლენას, მაგრამ ტოლერანტულად უნდა იყოს განწყობილი მათ მიმართ. ყოველი ამ ჯგუფის წარმომადგენელს თავისუფლად და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე უნდა შეეძლოს აკადემიური საქმიანობის წარმართვა მის ნიაღში. სახელმწიფოს ჩარევა უნივერსიტეტის ფუნქციონირებაში, სასწავლო-კვლევით და ადმინისტრაციულ საქმიანობაში დაუშვებელი უნდა იყოს, რადგან მის კომპეტენციას სცილდება სწავლების, სწავლისა და კვლევის პრინციპების განსაზღვრა.

ბ) უნივერსიტეტის შიდა ავტონომიურობა გულისხმობს მისი ისეთი სტრუქტურის არსებობას, რომელიც პროფესორთა კორპუსისა და სტუდენტთა მიერ თავიანთი უფლება-მოვალე-

ობების გონივრულ, თავისუფალ და სამართლიან შესრულებას უზრუნველყოფს. პროფესორთა კორპუსი და სტუდენტები არ უნდა განიცდიდნენ არავითარ წნეხს შიდა საუნივერსიტეტო სტრუქტურების მხრიდან; არ უნდა ექვეოდნენ ცალკეული აკადემიური თუ ადმინისტრაციული თანამდებობის პირების თვითნებური გადაწყვეტილებებისა და ქმედებების გავლენის ქვეშ.

4. აკადემიური თავისუფლება არის იდეა, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების იმ სახეებს და შესაბამის პასუხისმგებლობათა რიგს, რომლებიც განსაზღვრულია უმალესი სასწავლებლების, მათი მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და სტუდენტებისთვის და უპირველესად კვლევის, სწავლებისა და სწავლის პროცესის თავისუფლებას გულისხმობს.

ა) კვლევის თავისუფლება: კვლევის თავისუფლება გულისხმობს, რომ მეცნიერი არის თავისუფალი მისი კვლევის ობიექტის განსაზღვრაში, მეთოდოლოგიურ მიდგომაში, ისევე როგორც კვლევის შედეგების შეფასებასა და გავრცელებაში. თუმცა მისი ეს თავისუფლება დაკავშირებულია აკადემიურ ვალდებულებასა და სინდისიერებასთან, რაც გულისხმობს, რომ კვლევის პროცესი და კვლევის შედეგები არ უნდა იყოს ზიანის მომტანი საზოგადოებისა და ინდივიდებისათვის და არ უნდა ინვესტირდეს არავითარი სახის დისკრიმინაციას.

ბ) სწავლების თავისუფლება: უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კორპუსს უფლება აქვს, თავისი შეხედულების მიხედვით დაეგმოს და განახორციელოს სასწავლო ღონისძიებები და განხორციელოს სასწავლო პროგრამები შინაარსობრივად და მეთოდოლოგიურად და თავისუფლად გამოხატოს საკუთარი მეცნიერული და სასწავლო-საგანმანათლებლო შეხედულებების, თუკი ისინი არ ლახავს ადამიანის უფლებებსა და ღირსებას და არ ინვესტირებს სახის დისკრიმინაციას. ამრიგად, სწავლების თავისუფლება წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების აკადემიურ ნაირსახეობას.

გ) სწავლის თავისუფლება: სასწავლო წესრიგის ფარგლებში სტუდენტს აქვს უფლება, თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს სასწავლო ღონისძიებები და ამავდროულად თავისი უნარებისა და ცოდნის შესაბამისად ჩაერთოს უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევით პროცესებში, რაც ხელს შეუწყობს მისი სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და მისცემს შესაძლებლობას, გამოიმუშავოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევები. ამ უფლებიდან მომდინარეობს სტუდენტის თავისუფლება თავად დაეგმოს საკუთარი აკადემიური განათლება. ამასთან ერთად, სტუდენტს უფლება აქვს, ჩამოაყალიბოს და გამოხა-

ტოს თავისი მეცნიერული შეხედულება. 5. თავისუფალი აკადემიური სივრცის აუცილებელ კომპონენტს სწავლის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობა წარმოადგენს, რაც გულისხმობს იმას, რომ:

ა) სწავლისა და სწავლების პროცესში მუდმივად უნდა იყოს გათვალისწინებული კვლევის უახლესი შედეგები, რაც სწავლას უფრო სიღრმისეულსა და მრავალფეროვანს გახდის, მეორე მხრივ, კი უფრო მასშტაბურ საზოგადოებრივ დატვირთვას შესძენს სამეცნიერო-კვლევით მიღწევებს, ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევის შედეგების ნაყოფიერ გამოყენებას საზოგადოებრივი დანიშნულებით და მათ ადაპტაციას სასწავლო პროგრამაში დასაწერად.

ბ) სტუდენტები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული კვლევის პროცესების განხორციელებაში, რაც ხელს შეუწყობს მათ ისე აღზრდას, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს კი ნიშნავს მათ სოციალურ, გონებრივ და ემოციურ განვითარებას. სტუდენტი არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ სწავლების ობიექტად, არამედ უნდა გამოიკვეთოს მისი თანასწორი მონაწილეობა როგორც სასწავლო, ისე კვლევით პროცესებში.

სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესების მაქსიმალურად წარმატებული განხორციელებისათვის საჭიროა მჭიდრო ურთიერთობა მსოფლიოს სხვადასხვა აკადემიურ წრესთან. ეს გულისხმობს აკადემიური გამოცდილების გაცვლისა და გაზიარების მიზნით, როგორც ერთობლივი საერთაშორისო კვლევით პროექტებისა და სასწავლო პროგრამების განხორციელებას, ისე პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მობილობას.

ამასთანავე, უნდა შეიქმნას აკადემიური გარემოს თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა, რათა განათლება და კვლევა მხოლოდ თავისუფალი ბაზრის მოთხოვნებზე არ იყოს ორიენტირებული, რაც ერთი მხრივ, სამეცნიერო კვლევისა და სწავლების თვითკმარი მნიშვნელობისა და ღირებულების გარკვეულ დაკნინებას გამოიწვევდა, მეორე მხრივ, კი თავისუფალი ინდივიდის შესაძლებლობების სრულ რეალიზებას შეუშლიდა ხელს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მზადაა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიმართოს ყველა გზას, რათა საქართველოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით სივრცეში ხელი შეუწყოს აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიურობის იმ პრინციპების განვითარებას, რომლებიც მოცემულ დეკლარაციაში განსაზღვრული.

თვალსაზრისი

სტანდარტიზებული ტესტირება ხარისხიანი განათლების წინააღმდეგ ერთი საგანმანათლებლო ინიციატივის გამო

შესავალი

როგორც ცნობილი გახდა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი (I-VI კლასები) და საბაზო (VII-IX კლასები) საფეხურების ბოლოს წელს პირველად უნდა ჩატარდეს საცდელი ტესტირებები. დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ ნაბიჯების ინიციატორებს განათლების ხარისხის გაუმჯობესების სურვილი ამოძრავებთ, თუმცა გვინდობთ, რომ მათ მიერ არჩეული გზა საპირისპირო შედეგს – სწავლების ხარისხის გაუარესებას გამოიწვევს.

პირადად ჩვენ დანებობთ საფეხურზე სტანდარტიზებული საგამოცდო მოდელის დანერგვა იმდენად საგანგაშოდ გვეჩვენება, რომ მოქალაქეობრივ ვალად და პროფესიულ პასუხისმგებლობად მივიჩნიეთ, ჩვენი მცირე წვლილი შევვტანა იმ საფრთხეების გამოვლენაში, რომლებსაც ეს იდეა შეიცავს.

ვფიქრობთ, ეს საკითხი საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა, რადგანაც იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენი შეილების ჩამოყალიბება-განვითარების პროცესებთან. ამდენად, სა-

სურველია, დანებობთ საფეხურზე გამოცდების დანერგვა-არდანერგვის საკითხი საჯარო განხილვის თემად იქცეს. ჩვენ პირველი ვიქნებით.

სტანდარტიზებული ტესტირება და გაცემული იმედი

განათლების ხარისხის ამაღლების სურვილი გვაპოძრავებდა ყველას, როცა გამოცდების უნიფიცირებული სისტემა დაგენერგეთ. ყველას გვწამდა (და ამის თაობაზე საჯარო განცხადებებიც კეთდებოდა), რომ ცოდნის დონე მკვეთრად ამაღლდებოდა თუნდაც იმ საგნებში, რომლებშიც მოსწავლეები საგანგებოდ ემზადებოდნენ. ეს იმედეები ამართლებდა იმ შეუდარებლად დიდ დაფინანსებას, რომლითაც განათლების ეს სექტორი სარგებლობდა; იმ ათეულ მილიონობით ლარს, რომლებსაც შვილების კერძოდ მომზადებაში ყოველწლიურად ვხარჯავდით და დღემდე ვხარჯავთ მშობლები.

ეს იმედეები გაცრუვდა. გამოცდებში ჩადებული მა მილიონობით ინვესტიციამ შედეგი ვერ გამოიღო – გავიდა წლები და განათლების ხა-

რისხი არ გაუმჯობესებულა, პირიქით, ყველა მის გაუარესებაზე საუბრობს, განსაკუთრებით, უნივერსიტეტების წარმომადგენლები. შესაბამისად, შეიცვალა ოფიციალურ პირთა დისკურსიც. მათ საჯაროდ განაცხადეს, რომ გამოცდები განათლების ხარისხს ვერ აუმჯობესებს.

დასკვნა დაგვიანებულა, მაგრამ მართებელი: არც არსებობს საგამოცდო მოდელი და არც რეპეტიტორთა ინსტიტუტი არ აღმოჩნდა ის საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობდა განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. ამ ფაქტის წინაშე დავედეთ ყველანი. თუ გვსურს მდგომარეობის გამოსწორება, რეალობას თვალში უნდა შევხედოთ, დამუშავებული შეცდომები უნდა აღმოვაჩინოთ, გავაანალიზოთ და ვიმორომოთ მათ გამოსასწორებლად.

რით აიხსნება, რომ მიღებული გამოცდილების მიუხედავად, ამ იდეის ინიციატორებს საგამოცდო მოდელის სასკოლო სწავლების სამივე საფეხურზე გავრცელება სურთ? თუ გამოცდებმა ზედა საფეხურს არ „უშეშლა“, რატომ ფიქრობენ, რომ ქვედა საფეხურებს „უშეშ-

ლის“? რა შედეგს მოელიან?

უნიფიცირებულმა სისტემამ პირველ ეტაპზე შეასრულა იმდროინდელი საზოგადოებრივი დაკვეთა – მან მოსპო უმალეს სასწავლებლებში დამკვიდრებული კორუფცია. ეს იყო უდავო წარმატება, რის გამოც გამოცდების ახალმა მოდელმა საყოველთაო აღიარება მიიპოვა. პირველად შექმნილი წარმოდგენა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ შემდგომში აღარავის გადაუხინჯავს. ამიტომ, რომ საზოგადოებაში არ ჩნდება ჩვენს საგამოცდო სისტემასთან დაკავშირებული ლოგიკური კითხვები, რომლებსაც რაცინო, ყველა უნდა ესვამდეთ. მაგალითად: რატომ ჩივის ყველა ლექტორი, რომ თავიდან უნდა დასკოლო პროგრამის გავლა? უმალესში ხომ მხოლოდ ისინი ხვდებიან, ვინც წარმატებით ჩააბარა ტესტური გამოცდები? რატომ აქვთ პირველკურსელებს განათლების დაბალი დონე? რატომ არ აუმჯობესებს განათლების ხარისხს კერძო მომზადებასა და გამოცდების ორგანიზებაში ყოველწლიურად დაბანდებული მილიონობით ლარი? რაში ვაბანდებთ მილიონებს? რატომ უნ-

თვალსაზრისი

და ჰქონდეს გამოცდის წარმატებით ჩაბარების უპირატესობა იმას, ვისაც კერძო რეპეტიტორთან მომზადების ფინანსური საშუალება აქვს? კორუფცია ხომ იმიტომ მოვსკეთ, რომ განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი გამბედავად ყველასთვის? და სხვ.

პირველი წარმოდგენების სიმყარით უნდა აისინებოდეს შემოსხენებული ინიციატივაც. ინიციატორთა ლოგიკა, ალბათ, ასეთია: „თუკი ჩვენმა საგანმანათლებლო სისტემამ განათლების ხარისხი აქამდე ვერ აამატა, ეს იმიტომ, რომ საკმარისი არ არის გამოცდების ჩატარება მხოლოდ დამამთავრებელ საფეხურზე, დაბალი საფეხურიდანვე უნდა დაიწყოს“.

სარისხიანი განათლების მართიანი განმარტება

პირველი რიგში, დავაზუსტოთ, რას გულისხმობს სარისხიანი განათლება. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი დევიდ პერკინსი მარტივად, ნათლად და, იმავდროულად, ყოვლისმომცველად განმარტავს სარისხიანი განათლების არსებით მიზეზს, კერძოდ: მოსწავლეთათვის იმგვარი ცოდნის მიცემა, რომელსაც ისინი შეინარჩუნებენ, გაიზარებენ და აქტიურად გამოიყენებენ. ამგვარ ცოდნას პერკინსი უწოდებს გენერაციულ ცოდნას. ეს არის მყარი, სისტემური და დინამიკური ცოდნა, რომელიც ზრდისა და უდრევი განახლების უნარით ხასიათდება. სარისხიანი განათლება სწორედ მოსწავლეებისათვის გენერაციული ცოდნის მიცემას გულისხმობს.

ეს თითქმის მარტივად მისაღწევი საგანმანათლებლო მიზანი – მყარი, გაზრებული და ქმედითი ცოდნის მიცემა – მიუღწეველი აღმოჩნდა ზოგადი განათლების თანამედროვე სისტემაში უმრავლესობისათვის. თანამედროვეობაში მოქმედი ათეულ ათასობით სკოლა უამრავ ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს, მაგრამ ძალიან ცოტა თუ ახერხებს სწავლა-სწავლების პროცესის ისე წარმართვას, რომ მინოდებული ინფორმაცია საფუძვლიან ცოდნად გარდაიქმნას, ცოდნად, რომელიც „თან დასდევს მცოდნელს“.

განათლების მენეჯერის თანამედროვე პარადიგმა

რატიო ხდება ასე? რატიო ვერ აძლევს მასწავლებელი ან რეპეტიტორი მოსწავლეებს საფუძვლიან ცოდნას? რატიო არის მოსწავლეთა ცოდნა ადვილად დავინყებადი, უსისხლემო, ინერტული?

70-იანი წლებიდან, მას მერე, რაც ამ კითხვებს პასუხი ვერ ვასცა სწავლების ბიპევიორისტულმა კონცეფციამ, დაიძრა ინტენსიურ კვლევათა ტალღა ახალი მიმართულებით. ეს მიმართულება იყო ადამიანის გონებრივი აქტივობა, რომელსაც ბიპევიორისტები მთლიანად უგულებელყოფდნენ, როგორც კვლევის ობიექტს.

ამ პერიოდში ჩამოყალიბდა და განვითარდა კოგნიტიური მეცნიერების ახალი დარგები. კოგნიტივიზმმა, რომელიც შეისწავლის აზროვნების ფუნქციონირებას, საგულისხმო მონაცემებით გაამდიდრა განათლების მეცნიერება. ამ დარგებიდან განსაკუთრებული წვლილი კოგნიტურ ფსიქოლოგიას მიუძღვის. მან შესაძლებელი გახადა სწავლის პროცესში მიმდინარე გონებრივ პროცესებზე დაკვირვება და იმ მექანიზმებისა და პირობების დადგენა, რომლებიც განაპირობებს ინფორმაციის გარდაქმნას მყარ და სისტემურ ცოდნად.

ცოდნამ სწავლა-სწავლების პრობლემატიკის შესახებ არნახული ევოლუცია განიცადა, რამაც განაპირობა განათლების მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბება. დაგროვდა უმნიშვნელოვანესი ცოდნა, რომელიც უკეთესად სწავლებისა და სწავლის შესაძლებლობას იძლევა. სამწუხაროდ, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, განათლების რეფორმები, ხშირ შემთხვევაში, ამ ცოდნის გვერდის ავლით ხორციელდება. ასე ხდება ჩვეთანაც.

როცა „პული ამოძრავებს ძალს“

სკოლისაგან დამოუკიდებელი შეფასების სისტემა (ანუ გარე შეფასება) განათლების ერთგვარ ძრავას წარმოადგენს და ეს ბუნებრივია. გარე შეფასება მნიშვნელოვანდ წყვეტს საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ ადამიანთა ბედს. ამიტომ ყველა მოქმედი პირის ყურადღება გამოცდების მოთხოვნებისკენა მიმართული. მოსწავლე ცდილობს იმის სწავლას, რასაც გამოცდაზე შეუკითხებიან; მასწავლებელი იმის სწავლებას ცდილობს, რასაც გამოცდა მოითხოვს მოსწავლისაგან; მშობლებიც და დირექტორიც იმ მასწავლებელს ირჩევენ, რომელიც გამოცდას წარმატებით ჩააბარებინებს მოსწავლეს; მასწავლებელთა ფორმირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურებიც ისეთი პედაგოგის ფორმირებას ცდილობენ, რომელიც საგანმანათლებლო პროცესში უკიდურესად დაბალ დონეზე იდგა. საბაზო-საშუალო საფეხურებზე (VI-XII კლასებში) მოსახლეობის მხოლოდ 25%-ს მიჰყავდა შეილები. სიღარიბის გამო მოსახლეობის უმრავლესობა იძულებული იყო დაეკმაყოფილებულიყო დაწყებითი საფეხურის განათლებით. მდგომარეობა არსებითად შეიცვალა განათლების რეფორმის ეტაპობრივი დახერხების შემდეგ – 2000 წლიდან ფინეთი ნამყარად ადგილს იკავებს ზოგადი განათლების საერთაშორისო კვლევებში, გაეროს 2007 წელს განხორციელებული სტატისტიკური კვლევების მონაცემებით კი ფინეთი თავისი ცხოვრების დონით მსოფლიოს პირველ ათეულში შედის.

ბენ, რომელიც საგანმანათლებლო პროცესში მყოფად და ა.შ. და ა.შ. ამგვარად, მთელი განათლების სისტემა და, რაც მთავარია, მინარისი, ნებით თუ უნებლიეთ, გარე შეფასების მოთხოვნებზეა ფოკუსირებული.

გარე შეფასების მოდელი სხვადასხვაგვარია. ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში გარე შეფასების ინსტრუმენტს წარმოადგენს უნიფიცირებული და სტანდარტიზებული საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც სწავლების მოძველებულ, ბიპევიორისტულ კონცეფციას ეფუძნება (მასზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

ალსანიშნავია, რომ სტანდარტიზებულმა ტესტირებამ ზოგიერთ ქვეყანაში უპრეცედენტო გავრცელება სწორედ მაშინ ჰპოვა, როცა მისი ისედაც სუსტი მეცნიერული საფუძვლები საბოლოოდ შეარყია კოგნიტიური დარგების განვითარებამ. მისი ფართო გავრცელება პრაგმატული მიზეზებით უნდა იყოს განპირობებული – იგი შესაძლებელს ხდის ნახევარდღეში შევადგინოთ ათათასობით მოსწავლე. ეს მართლაც მომხიზვლელი შესაძლებლობა იმ სამყაროსთვის, რომელშიც რაოდენობრიობა თვისებრიობაზე ბატონობს.

ამერიკელი მეცნიერი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჰოვარდ გარდნერი აღნიშნავს, რომ ამერიკის სკოლებს ერთი მიზანი ამოძრავებთ: ტესტების შედეგების გაუმჯობესება. ამასთან დაკავშირებით მას საგულისხმო შედარება მოჰყავს: უკვე ძალიან კი არ ამოძრავებს კუდს, არამედ კუდი ამოძრავებს ძალს. განათლების ენაზე ეს ნიშნავს შემდეგს: გამოცდა აფასებს არა იმ ცოდნას, რომელსაც სკოლა აძლევს მოსწავლეს, პირიქით: სკოლა აძლევს მოსწავლეს იმ ცოდნას, რომელიც გამოცდაზე ფასდება.

მაინც რა ფასდება სტანდარტიზებული ტესტირებისას? ის, რაც ადვილად ექვემდებარება დათვალას და გაზომვას. აქაც რაოდენობრიობის პრინციპი დომინირებს. რაც არ ითვლება და არ იზომება, ის კარგავს საგანმანათლებლო ღირებულებას...

„ტესტის ჩამბარებელი თაობის“ ფორმირება

უნდა გავისვენოთ, რომ განათლების სისტემაში მოქმედი მოდელი სწავლების ორ განსხვავებულ პარადიგმაში ჯგუფდება: სწავლაზე ორიენტირებული სწავლება და შეფასებაზე ორიენტირებული სწავლება.

როცა სწავლება სწავლაზეა ორიენტირებული, საგანმანათლებლო პროცესის შუაგულში ექცევა თითოეული მოსწავლის განვითარებისა და სწავლის პროცესი. ამ პარადიგმას აღიარებდა დ. უიხაძე, როცა ამბობდა: სწავლაში ძირითადი კონკრეტული ჩვევა და ცოდნა როდია, არამედ იმ ძალის განვითარება, რომელიც სწავლის პროცესში ღებულანობს მონაწილეობას. ამ პარადიგმას აღიარებს სწავლების კოგნიტიური კონცეფციაც.

თუკი ყველასაგან დაფასებულმა ფინეთის სასკოლო რეფორმამ შეძლო ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შენება, ეს სწორედ იმიტომ, რომ მან სწავლაზე ორიენტირებული განათლების პარადიგმა აირჩია, უარი თქვა, აჰყოლოდა თანამედროვე საგანმანათლებლო „მოდელს“ და სტანდარტიზებული ტესტირებისთვის მსხვერპლად შექნარა პედაგოგიური პრინციპები. ქვეყანამ საგანმანათლებლო დევიზად გამოაცხადა შემდეგი: „ყველა მოსწავლე მნიშვნელოვანია. სკოლა უნდა მოერგოს მოსწავლეს და არა მოსწავლეს – სკოლას“.

ამ პრინციპის გატარებას ხელი არ შეუშლია ფინეთისათვის, განვითარებინა საგანმანათლებლო სისტემაც, მაგრამ ფინურ საგანმანათლებლო სისტემას არაფერი აქვს საერთო უნიფიცირებულ სტანდარტიზებულ ტესტთან. ისინი ეფუძნება არა ბიპევიორისტულ კონცეფციას, არამედ განათლების თანამედროვე ხედვას, ანუ კოგნიტურ კონცეფციას. ამდენად, აქ „ძალიან ამოძრავებს კუდს“.

ცნობისათვის: 1970 წლამდე, ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, ფინეთში განათლება უკიდურესად დაბალ დონეზე იდგა. საბაზო-საშუალო საფეხურებზე (VI-XII კლასებში) მოსახლეობის მხოლოდ 25%-ს მიჰყავდა შეილები. სიღარიბის გამო მოსახლეობის უმრავლესობა იძულებული იყო დაეკმაყოფილებულიყო დაწყებითი საფეხურის განათლებით. მდგომარეობა არსებითად შეიცვალა განათლების რეფორმის ეტაპობრივი დახერხების შემდეგ – 2000 წლიდან ფინეთი ნამყარად ადგილს იკავებს ზოგადი განათლების საერთაშორისო კვლევებში, გაეროს 2007 წელს განხორციელებული სტატისტიკური კვლევების მონაცემებით კი ფინეთი თავისი ცხოვრების დონით მსოფლიოს პირველ ათეულში შედის.

როცა სწავლება შეფასებაზე და, უფრო კონკრეტულად, სტანდარტიზებულ ტესტზეა

ორიენტირებული, საგანმანათლებლო პროცესი კონცენტრირებულია ტესტის მოთხოვნებზე და არა მოსწავლის ძალთა განვითარებაზე. ამ პარადიგმაში მასწავლებელი იძულებული ხდება, მოარგოს თითოეული მოსწავლე ტესტის მოთხოვნებს (მოსწავს თუ არა მას ეს). სისტემა მისგან მოითხოვს „ტესტის ჩამბარებული თაობის“ ფორმირებას. ეს მოთხოვნა დამოკლეს მახვილივით კიდია მასწავლებლის თავზე – მის პროფესიულ წარმატებას ხომ დიდწილად ტესტის წარმატებით ჩამბარებულ მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრავს.

მოსალოდნელი შედეგები დახვებით საფეხურზე

როგორც აღვნიშნეთ, სარისხიანი განათლება გარკვეული საგანმანათლებლო პირობების თავმოყრას მოითხოვს. სტატისტიკის ფორმატი ყველა პირობის განხილვის საშუალებას არ იძლევა. ამიტომ პრობლემის ნათელყოფისათვის აუცილებელი მინიმუმს დავეჯერდებით (კერძოდ, მხოლოდ 4 პირობას) და ჩაჩვენებთ, თუ როგორ შეაფერხებს სტანდარტიზებულ ტესტზე ორიენტირებული სწავლება ამ აუცილებელი პირობების წარმოქმნას. ამისათვის, მოდით განვიხილოთ თითოეული პირობა ცალ-ცალკე.

სარისხიანი სწავლა-სწავლების პირობა 1. ცოდნათა ორგანიზება

კვლევათა ნაწილი აჩვენებს, რომ რაც უფრო ორგანიზებული, იერარქიზებული და ურთიერთდაკავშირებულია ცოდნათა ერთობლიობები მესხიერებაში, მით უფრო ძლიერია მათი გააზრების, დამახსოვრებისა და გამოყენების უნარები.

მესხიერებაში ორგანიზებული ცოდნის ფორმებს განათლების მეცნიერებებში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: მენტალური მოდელები, აზრობრივი ხატები, სკრიპტები, სქემები. ჩვენ არჩევანს „სქემაზე“ შევარჩევთ.

ამ ტერმინის არსში გასარკვევად თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ ჰოლანდიელი ფსიქოლოგის ადრიან დე გრუთის მიერ ჩატარებულ კვლევას, რომელიც ფართოდ გავრცელდა კოგნიტიური ფსიქოლოგიის ნაშრომებში. კვლევის სამიზნე ჯგუფები იყვნენ დებოუტანტი და გამოცდილი მოჭადრაკეები. ორივე ჯგუფის წარმომადგენლებს უნდა დაემახსოვრებინათ კონკრეტული საჭადრაკო პარტიები, რომლებსაც მათ რამდენიმე წამის განმავლობაში აჩვენებდნენ. გამოცდილმა მოჭადრაკეებმა დებოუტანტებზე გაცილებით უკეთესი შედეგები აჩვენეს. საქმე ისაა, რომ გამოცდილი მოჭადრაკეები საჭადრაკო პარტიას ერთიანად, მთლიანობაში ამუშავებენ კარგად განვითარებული აზრობრივი სქემებით და ამავე სქემებს ყურდნობას ფიგურათა პოზიციების გახსენებისას. დებოუტანტების მესხიერებაში ჯადრაკის აზრობრივი სქემები განუვითარებელია, ცოდნა – დაქსაქსული.

ისინი თითოეული ფიგურის პოზიციას იზოლირებულად იმახსოვრებენ და გახსენებისას ცალ-ცალკე გამოიხმობენ მესხიერებიდან. დაქსაქსული, დანანერვებული ინფორმაციის დამახსოვრებას მეტი მოცულობა და მეტი კოგნიტიური რესურსი სჭირდება, ვიდრე ურთიერთდაკავშირებულს. ამიტომ მუშა მესხიერება იტვირთება, ასეთ მოცულობას ვერ ერევა და, შედეგად, იკარგება ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამდენად, რაც უფრო დაქსაქსულია მესხიერებაში ინფორმაცია, მით უფრო ფერხდება გააზრებისა და დამახსოვრების უნარები.

მოვიყვანოთ მეორე მაგალითს: განათლების ფსიქოლოგიის, ზონი მეიერის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ნაკითხულის გააზრებას და დამახსოვრებაში უკეთეს შედეგებს აჩვენებენ ის მოსწავლეები, რომლებმაც იცინა ტექსტის სტრუქტურა. ტექსტის სტრუქტურის მცოდნე მოსწავლეები შინაარსსაც უკეთ იაზრებენ და უფრო მეტი ინფორმაციაც ამასხლოვრდეხათ. საქმე ისაა, რომ ვინც იცის ტექსტის სტრუქტურა, მას მესხიერებაში აქვს ტექსტობრივი სქემა, რომელშიც ლაგდება ნაკითხული ინფორმაცია. ეს აადვილებს ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემულ ინფორმაციათა შორის აზრობრივი კავშირების გახმას. მოსწავლეებში, რომელიც მოკლებულია ამ დამხმარე კოგნიტიურ იარაღს (ანუ არ აქვს სათანადო სქემა), მუშა მესხიერებაში დიდხანს უნდა შეინარჩუნოს ნაკითხული სხვადასხვა ინფორმაცია, რათა შეძლოს აზრობრივად მათი ურთიერთდაკავშირება. დანანერვებული ინფორმაციის ამგვარი დამუშავება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოითხოვს გაცილებით მეტ კოგნიტურ რესურსს. ამიტომ ხდება მუშა მესხიერების გადატვირთვა, ანუ „მოკლე ჩართვა“, როგორც კოგნიტივისტები ამბობენ. ამის შედეგად ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგება – მკითხველი ტექსტს ხარვეზებით იაზრებს და იმახსოვრებს.

ამგვარად, აზრობრივი სქემები, რომლებიც ორგანიზებულად და იერარქიზებულად აერთიანებს ცოდნათა ერთიანობებს, ერთიორად აძლიერებს ინფორმაციის გააზრების, დამახსოვრებისა და გამოყენების შესაძლებლობებს.

მოსწავლის მეხსიერების შესაძლებლობათა სრულყოფისათვის მასწავლებელმა მულტიმედია უნდა იზრუნოს აზრობრივ სქემათა საფეხურებრივ კონსტრუქტირებაზე, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებაზე. ეს კი გააზრებულ სწავლებას მოითხოვს.

მოვიყვანოთ მაგალითი. იმისათვის, რომ მოსწავლემ გაიგოს და შეიტვისოს არსი ცნებისა „თხრობითი ტექსტი“, მან უნდა გაიანზროს მისი შემადგენელი კერძო ცნებები და მათ შორის არსებული მიმართებები. ესენია: პერსონაჟი, ფაბულა, სიუჟეტი, სიუჟეტის განვითარების ეტაპები – ეკანდის შექვრა, მოქმედების განვითარება, კულმინაცია, ეკანდის გახსნა, მისთ. მრავალფეროვან მაგალითებსა და აქტივობებზე დაყრდნობით, მოსწავლის მეხსიერებაში ეტაპობრივად უნდა გადვიდრდეს სქემა „თხრობითი ტექსტი“. მაგ., „პერსონაჟთან“ დაკავშირებით მოსწავლემ თანდათანობით გაიგებს, რომ პერსონაჟი შეიძლება იყოს მთავარი და/ან არამთავარი მოქმედი პირი; იგი შეიძლება იყოს ადამიანი, ცხოველი, მცენარე თუ უსულო ნივთი; პერსონაჟის დახასიათება შესაძლებელია სხვადასხვა ხერხით და ასე შემდეგ.

სწავლება ისე უნდა წარმოებოდეს, რომ აზრობრივი სქემა „თხრობითი ტექსტი“ კლასიდან კლასში გადასვლის კვალდაკვალ „დაიხუნძლოს“ (ანუ გადვიდრდეს ახალ-ახალი ინფორმაციით). ნაწილს მოსწავლემ მე-4 კლასში შეისწავლის (მაგ., ამბის დასახეებით, შუა ნაწილი, დასასრული, პერსონაჟი და მისთ). როცა ამ ცოდნას ახალი შემატება მე-5 კლასში, ის არ უნდა დარჩეს იზოლირებული მე-4 კლასში ნასწავლი საკითხებისაგან. აუცილებელია, მასწავლებელმა ახალი ცოდნა დაუკავშიროს მე-4 კლასში ნასწავლ მასალას, რათა ეს ლიტერატურული ცოდნაც არსებულ სქემას მიუერთდეს. ანალოგიურად, მე-6 კლასში ნასწავლი საკითხებიც უნდა „შეუერთდეს“ მე-5 კლასის „ლიტერატურულ სქემას“. ასეთი მიდგომით მოსწავლის მეხსიერებაში ლიტერატურული ცოდნის სქემა კლასიდან კლასში გადვიდრდება და ქსელური განვითარებით, მოსწავლის ლიტერატურული ცოდნაც სისტემური და საფუძვლიანი გახდება. როდესაც მას რაიმე დავალების შესასრულებლად ეს ცოდნა დასჭირდება, მესხიერებაში გააქტიურდება ერთიანი სქემა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეს, ოპერატიულად, გააზრებულად და ეფექტურად დაამუშავოს მინოდებული ინფორმაცია.

ალბათ, მკითხველისათვის გასაკებია, რომ აზრობრივი სქემების აგება მოითხოვს საკითხების გააზრებულად, აუჩქარებულად და მრავალმხრივად დამუშავებას, მრავალი მაგალითისა და კონტრ-მაგალითის მოხმობას კონკრეტულ ცნებათა არსებით ნიშნების წარმოსაჩვენად, მათი სხვადასხვა ნაწილის გასაშუქებლად, მათ შორის არსებული მიმართებებისა და კავშირების გამოსავლენად. ამისათვის კი საჭიროა ერთი და იმავე საკითხის მრავალფეროვან კონტექსტებას აუ სიტუაციებში გადათამაშება, ვარჯიში თეორიული და არაარსებითი ნიშან-თვისებების ერთმანეთისაგან გამიჯვნაში და სხვ.

სქემების საფეხურობრივი კონსტრუქტის თან უნდა ახლდეს ცოდნის შექმნის პროცესის ნიშნები დისციპლინაში, იქნება ეს მათემატიკა, გეოგრაფია, ისტორია, ხელოვნება, ბუნებისმეტყველება თუ სხვა საგანი. სწორედ ამ აზრობრივი სქემების ერთობლიობები ქმნის იმ საყრდენ კონსტრუქციას, რომელიც ცოდნის ნაგებობის მისაგრეს განაპირობებს.

სტანდარტიზებულ გამოცდაზე ორიენტირებულ სწავლებას არ აინტერესებს მოსწავლის მეხსიერებაში ინფორმაციის ორგანიზების პროცესი, რადგანაც საგანმანათლებლო პროგრამა ამას არ მოითხოვს. იგი ინფორმაციის ორგანიზებაზე, ანუ ათვისების ხარისხზე კი არა, ისევე და ისევე მის რაოდენობაზეა ფოკუსირებული. ამას მონშნებს დასასწავლი საკითხების შთამბეჭდავი ჩამონათვალი, რომელსაც ცენტრალური ადგილი უკავია საგანმანათლებლო პროგრამებში. ეს ჩამონათვალი მასწავლებელსა თუ რეპეტიტორს მასალის „ამონურვის წნეხის“ ქვეშ აყენებს. „ამონაწერი“ საკითხები იმდენია, რომ გააზრებულ, აუჩქარებულ და მრავალმხრივ სწავლებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. პროგრამის ამონაწერს მხოლოდ დაჩქარებული, ზედპირული სწავლებითაა შესაძლებელი. აქ იკვეთება განსხვავება სწავლება და შეფასებაზე ორიენტირებულ პარადიგმებს შორის. სწავლებაზე

თვალსაზრისი

ორიენტირებული პარადიგმისათვის მნიშვნელოვანია სწავლის პროცესის, ანუ ინფორმაციის ცოდნად გარდაქმნის პროცესის ხელშეწყობა. ამას უწოდებენ მოსწავლეზე ორიენტირებას. მეორე პარადიგმისათვის კი მთავარია დასასწავლი მასალის დაფარვა.

ამგვარი საგანმრისი პროგრამა ტიპური გამოვლინებაა ბიჰევიორისტული კონცეფციისა, რომელიც ცოდნის შექმნას განიხილავს, როგორც ინფორმაციის დასწავლა-დამახსოვრების სწორზაზოვან პროცესს და მიიჩნევს, რომ ბევრის დასწავლა თავისთავად განავითარებს მესხიერებასაც და აზროვნებასაც. აქ ისევე და ისევე დომინირებს რადიკალიზაციის პრინციპი, რომელიც აუკუღმართებს საქმის ვითარებას. დევდ პერკინსი სხარტი ფორმულირებით გამოკვეთს სწავლების ამ ორ დაპირისპირებულ ხედვას: „აზროვნება კი არ მოსდევს ცოდნას, არამედ ცოდნა მოსდევს აზროვნებას“. სხვა სიტყვებით, დასწავლა-დამახსოვრება კი არ განავითარებს გააზრების უნარებს, როგორც ამას ბიჰევიორიზმი ვარაუდობს (პრაქტიკამ ეს ვარაუდი არ დადასტურა!), არამედ გააზრებული სწავლება განაპირობებს ინფორმაციის დამახსოვრებას და ცოდნის შენარჩუნებას, როგორც ეს მეცნიერულად დადასტურა კოგნიტივიზმმა.

მასალის მოცულობაზე ორიენტირებული სწავლება უგულბელყოფს მოსწავლის მეხსიერებაში სქემების ფორმირებისა და განვითარების პროცესს. ამის შედეგად მოსწავლის მეხსიერებაში გროვდება დიდი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი, დანანევერებული და დაქსაქსული ინფორმაცია. ეს ცოდნის ნაგებობა კი არა, ინფორმაციითა ინერტული გროვება, შეიძლება ითქვას, მასა, რომელიც გონება ვერ ერევა, ვერ გარდაქმნის მყარ და დინამიურ ცოდნად. ამით აიხსნება ცოდნის ის დაბალი დონე, რომელსაც, გაძლიერებული (მაგრამ არა გადრეზავებული) სწავლა-სწავლების მიუხედავად, ავლენენ სკოლადამთავრებულები.

ასეთივე შედეგებს მივიღებთ, თუკი ტესტირება დამკვიდრდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით საფეხურზეც. დაწყებით საფეხურის მოსწავლეები შეიძენენ ზერულ და დიდნილად გაუაზრებელ ცოდნას, მექანიკურად დამახსოვრებენ უამრავ ცნებას დიდი მოცულობის მასალაში; მათთვის ბუნდოვანი დარჩება ამ ცნებათა არსობრივი ასპექტები, მათ შორის არსებული კავშირ-მიმართებები. ცოდნის მყარი ნაგებობის ასაშენებლად საჭირო საყრდენების ნაცვლად, მათ მეხსიერებაში იმთავითვე ინფორმაციის ინერტული გროვები ჩაიბუდებს.

ხარისხიანი სწავლა-სწავლების პირობა 2. ცოდნათა და საზოგადოებრივი ცხოვრების ხელშეწყობა

პროფესიულ საქმიანობასა თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანს უწევს ცოდნათა ერთობლიობებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების თანადროულად და კოორდინირებულად გამოყენება. მაგალითად, ფიზიკოსი სამეცნიერო მოხსენების ნაკითხვისას იყენებს დისციპლინურ, ენობრივ (ლექსიკურ, მორფოლოგიურ, ფონეტიკურ, სინტაქსურ, სემანტიკურს), კომუნიკაციურ ცოდნას; ზრუნავს აზრის თანამიმდევრულად გადმოცემაზე, საკვანძო აზრების გამოკვეთაზე, აკვირდება მსმენელის რეაქციას და, საჭიროებისამებრ, იყენებს საპასუხო სტრატეგიებს, როგორებიცაა: აზრის პერიფრაზირება სივცადისათვის ან მომზადებული ტექსტით და დაბრუნება აზრის უკეთ განმარტებისათვის, კითხვებზე საპასუხო მეხსიერებიდან სათანადო ცოდნის გამოხმობა და სხვ.

იმისათვის, რომ მოსწავლე დაეუფლოს კომპლექსური საზოგადოებრივი ცხოვრების მართვას, საჭიროა შევქმნათ იმგვარი საგანმანათლებლო სიტუაციები, სადაც მას მოუწევს ცოდნათა და საზოგადოებრივი ცხოვრების თანადროულად და კოორდინირებულად გამოყენება.

აქ იკვეთება კიდევ ერთი არსებითი განსხვავება სწავლების კოგნიტიურ და ბიჰევიორისტულ პარადიგმებს შორის.

კოგნიტიურ პარადიგმაში მასწავლებელი განსაკუთრებულ დროს უთმობს კომპლექსურ, სრულ და შინაარსიან აქტივობებს (მაგ. კვლევითი პროექტი, სიმულაცია, ლაბორატორიული სამუშაო, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა და სხვ.); იმ ტიპის სიტუაციურ აქტივობებს, რომელთაც ვხვდებით სკოლის კედლებს მიღმა. მათი შესრულება მოსწავლეს ეხმარება, დაეუფლოს ცოდნათა ერთობლიობების თანადროულად გამოყენებასა და მრავალგვარი საზოგადოებრივი ცხოვრების კომპლექსურად მართვას. ამგვარი ვარჯიშის შედეგად მოსწავლე იძენს საგნობრივ კომპეტენციებსა და მათი ფუნქციურად გამოყენების უნარს, ანუ იგი უფლებას იმეკარ ცოდნას, როგორსაც მოითხოვს, ერთი

მხრივ, პროფესიული თუ უმაღლესი განათლება და, მეორე მხრივ, დასაქმების სფერო.

ბიჰევიორისტულ პარადიგმაში აქცენტი კეთდება არა ცოდნათა ერთობლიობების ფუნქციურ გამოყენებაზე, არამედ ცალკეულ კომპონენტზე. ეს ხედვა სწავლებასაც ეხება და შეფასებასაც. ერთი მხრივ, ბიჰევიორიზმი თვლის, რომ ცალკეული კომპონენტების სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს კომპეტენციას და უფლებას; მეორე მხრივ, მიიჩნევს, რომ ცოდნის ცალკეული კომპონენტის იზოლირებულად შეფასება იძლევა ნიშნულ ინფორმაციას თავად კომპეტენციის შესახებ, რაც საფუძვლად მთავებულია მეცნიერულ საფუძველს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მიუხედავად ტესტირებაზე მიღებული ნარმატივისა, პირველკურსელი სტუდენტები ვერ ავლენენ აუცილებელ საგნობრივ ცოდნას.

მოსალოდნელი შედეგები: სტანდარტიზებული ტესტირებაზე ორიენტირებული სწავლება შეაფერხებს საგნობრივ კომპეტენციებისა და ფუნქციური ცოდნის ათვისების უმნიშვნელოვანეს პროცესს. ტესტების ფორმატი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკიდურესად ერთსახოვანია, განსაკუთრებით CAT-ის ტიპის ტესტებისა, რომლებშიც შეზღუდულია: * დავალების ტიპები – ისინი მოითხოვს მარტივი, ერთმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც ცალკეულ კომპონენტზეა მიმართული და არ მოითხოვს კომპლექსურ კოგნიტიურ ოპერაციებს.

* საგნის არეალი – მომდებარეა საგნის ვიწრო სეგმენტით. მაგ., ქართულ ენასა და ლიტერატურაში CAT-ის გამოცდა ვერ ამოწმებს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორებიცაა ზეპირი მეტყველება და წერილი მეტყველება.

ყურადღების ცენტრში მოექცევა საგნის მხოლოდ ის სეგმენტი, რომელიც ტესტში ფიგურირებს, უკანა პლანზე გადავა საგნის სხვა სეგმენტები და საგნობრივი კომპეტენციები. პროგრესული სწავლება მიექცევა ცოდნათა ერთობლიობების ცალკეულ კომპონენტებს, ანუ დანაწევრებული ცოდნის ელემენტებს და იმგვარი ტიპის დავალებებს, რომლებიც მოითხოვს ცალსახა პასუხებს. ასეთი ვალარიზებული, ერთსახოვანი საგანმანათლებლო პროცესი ნამდვილად ვერ უზრუნველყოფს მოაზროვნე და მცოდნე თაობის ფორმირებას.

ვიდრე მომდევნო საკითხზე გადავიდოდეთ, შევაჯამოთ შემოთქმული: ტესტზე ორიენტირებული სწავლების დანერგვის შემთხვევაში დაწყებით საფეხურის მოსწავლეები ათთვისებენ გამოცდისთვის შექმნილ და გამოცდამდე მისატან ცოდნას. ასეთ ცოდნაზე ვერც მომდევნო საფეხურის ცოდნა და შემდგობა, და მით უფრო, ვერ დაფუძნდება ვერც ქვეყნის ეკონომიკური აღმაშობა. ამგვარ ცოდნას არაფერი აქვს საერთო იმ „კოგნიტიურ კაპიტალთან“, რომელსაც უნდა ვაპანდებოდეთ თითოეულ მოსწავლეში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ასაღორძინებლად.

ხარისხიანი სწავლა-სწავლების პირობა 3. მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება

მეცნიერულმა კვლევებმა ცხადყო ადამიანის გონების პლურალისტური ბუნება. გონითი აქტივობა მრავალნაზნაგოვანი და მრავალკომპონენტია. სხვადასხვაგვარი გონითი აქტივობისას სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ცხოვრების თანადროულად და კოორდინირებულად გამოყენებას.

მოსწავლეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების ინდივიდუალური კომპონენტით და ცალკეული მათგანის განვითარების ხარისხით. შესაბამისად, ისინი ხასიათდებიან აზროვნებისა და აღქმის განსხვავებულად განსხვავებით. მარტივად რომ ვთქვათ, ყველა მოზარდს თავისი უნიკალური ინტელექტუალური პროფილი აქვს. რუსთაველის ენით თუ ვიტყვი, მოზარდთა სამყარო შექმულია „უთვალავითა ფერთა“ და თითოეული ინდივიდი ფერთა შეხამების უნიკალურ მოზაიკას წარმოადგენს.

„უთვალავითა ფერთა“ დაჯილდოებულ მოზარდებს პროფესულ ძალთა გასავითარებლად მრავალფეროვანი მიდგომები და აქტივობათა სიუფევა საჭიროებათ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტანდარტიზებული ტესტი შემოიფარგლება სულ რამდენიმე დავალების ტიპით, რომლებიც არსებითად ერთგვარ გონით აქტივობებს მოითხოვს. შესაბამისად, სწავლების ორიენტირება ტესტის მოთხოვნებზე განაპირობებს ერთფეროვან და ერთგვაროვან საგანმანათლებლო პროცესს, რომელიც განვითარების ერთნაირ პირობას შესთავაზებს ყველას. ერთნაირობა, რომელიც თანასწორობის იდეის გაუკუღმართებული ხატია, უთანასწორო მდგომარეობაში ჩააყენებს განსხვავებულ ინდივიდუალობებს. ეს ნიშნავს პროკრუს-

ტეს სარეცლის მსგავსი მექანიზმის ამოქმედებას და მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების ნიველირებას. მუხაც ხეა და პალმაც, მაგრამ ორივე ნერგს ერთნაირ პირობებში თუ ჩაუყენებთ, ან ერთი დაზიანდება, ან მეორე. თანასწორობის პრინციპის დაცვა მრავალფეროვნების გათვალისწინებას მოითხოვს „უთვალავითა ფერთა“ შექმნილ სამყაროში.

მოსალოდნელი შედეგები – ერთგვაროვანი სასწავლო პროცესი დააბრკოლებს იმ მოსწავლეთა პროფესულ შესაძლებლობათა რეალიზებას, რომლებიც ტესტის მიერ დანესტებული მოთხოვნებისაგან განსხვავებული საზოგადოებრივი მოქმედებებითა და აღქმის უნარებით არიან დაჯილდოებული, მით უფრო, რომ მოზარდებს ვერ ჩამოყალიბებული არ აქვთ საკომპენსაციო გონითი „საცეცები“. ამგვარი მდგომარეობა შეამცირებს მათი სწავლის მოტივაციას. რაც უფრო შემცირდება მოტივაცია, მით უფრო დადაბლდება სასკოლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხი, რაც, თავის მხრივ, ამ მოსწავლეთა ჩამორჩენას გამოიწვევს.

როგორც წესი, ასეთ მოზარდებს „სუსტი და უნიჭო“ მოსწავლეების კატეგორიაში მოსახვედრად ვნიარვთ და ვერც კი ვხვდებით, რომ ამგვარი კლასიფიკაცია იმდენად შეზღუდული და უნიჭო ხედვის შედეგია.

ნუთუ ტესტით უნდა განისაზღვრებოდეს განათლების მინარსი?! სად არის აქ პედაგოგია? ვის ასხოს აქ მოზარდი? მხოლოდ მშობელს, რომელიც იცნობს საკუთარი შვილის მდიდარ და უნიკალურ შინაგან რესურსებს...

ხარისხიანი სწავლა-სწავლების პირობა 4. ადრეული ცოდნის გათვალისწინება.

„ადამიანი მხოლოდ იმას სწავლობს, რაც იცის“, ამბობენ და კვლევებით ადასტურებენ კოგნიტივისტები. ეს დილემა ხარისხიანი განათლების ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს. სწავლის აქტი რომ განხორციელდეს, კავშირი უნდა დამყარდეს ახალ ინფორმაციასა და მეხსიერებაში არსებულ ცოდნას შორის. თუ მეხსიერებაში არ გვაქვს სათანადო ცოდნა, რითაც დავამუშავებთ ახალ ინფორმაციას, მას ვერც გავიაზრებთ და, შესაბამისად, ვერც ცოდნად გარდავექმნით.

ამდენად, სწავლაში წამყვან როლს ადრეული ცოდნა ასრულებს. ადრეული ცოდნა განაპირობებს იმას, თუ რის სწავლას შეძლებს მოსწავლე.

ამ პრინციპის ილუსტრირებისათვის ძალიან ნათელი მაგალითი მოჰყავს კანადელ მეცნიერს, შერბრუკის უნივერსიტეტის პროფესორს ე. ტარდიესს. კანადის ერთ-ერთი უნივერსიტეტის წარმატებულ სტუდენტს ნასაკიბხად მისცეს ტესტი ვიდეოჩანწერი აპარატის ელემენტებზე. ტარდიესს კანადის ერთ-ერთი უნივერსიტეტის წარმატებულმა სტუდენტმა ნასაკიბხად მისცეს ტესტი ვიდეოჩანწერი აპარატის ელემენტებზე. ტარდიესს კანადის ერთ-ერთი უნივერსიტეტის წარმატებულმა სტუდენტმა, პროფესორული სასწავლებლის მოსწავლედგინაგან განსხვავებით, ვერაფრით მოახერხა ტესტში მოცემული ინფორმაციის გააზრება. საქმე ისაა, რომ მას არ ჰქონდა მეხსიერებაში ის სპეციფიკური ცოდნა, რომლითაც იგი ამ ახალ ინფორმაციას დაამუშავებდა. შესაბამისად, მან ინფორმაცია ვერ გაიაზრა და ახალი ცოდნაც ვერ შეიძინა.

ცხადია, რომ კანადის უნივერსიტეტის წარმატებულ სტუდენტს კარგად განვითარებული კითხვისა და გააზრების უნარები უნდა ჰქონოდა, მაგრამ მან კონკრეტულ მოცემულობებში ეს უნარები ვერ გამოავლინა. ამის მიზეზი იყო სათანადო ადრეული ცოდნის არქონა.

ადრეული ცოდნა თითქმის საბედისწერო მნიშვნელობას იძენს დავებით საფეხურზე. სკოლაში მოსწავლეები მიდიან სხვადასხვა ცოდნითა და გამოცდილებით. მოზარდთა ის ნაწილი, რომელიც იზრდება ცოდნის შექმნის ხელშემწყობ გარემოში, სკოლაში კარგი სასტარტო მონაცემებით მიდის. მოზარდების იმ ნაწილს, რომელიც იზრდება ცოდნის შესაქმნად არახელსაყრელ გარემოში (რაც მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით ხდება), სკოლაში მისვლისას ცუდი სასტარტო მონაცემები აქვთ.

სწავლაზე ორიენტირებულ პარადიგმაში, განვითარების თანაბარი შანსის მისაცემად, მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს განსხვავებულ პირობებს სთავაზობს, მათი ადრეული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით. იგი თითოეულ მოსწავლეს აფასებს ინდივიდუალური საზომით – საკუთარ მიღწევებთან (და არა სხვათა მიღწევებთან) მიმართებით. ეს მოსწავლემს საშუალებას აძლევს, დაინახონ საკუთარი ნიშნავი, დარწმუნდნენ, რომ შეუძლებლია ნიშნავი და იმ ცოდნის თანდათანობით შექმნა, რომელიც მათ მიღწევების ერთი დონიდან მეორეზე გადაიყვანს. სწორედ ასეთ ინდი-

ვიდუალზე მდგომარეობს გულისხმობს შემოაღნიშნული პედაგოგიური პრინციპი: „ყველა მოსწავლე მნიშვნელოვანია. სკოლა უნდა მოერგოს მოსწავლეს, და არა მოსწავლე – სკოლას“.

სწავლაზე ორიენტირებული სწავლებით დაწყებით საფეხურზე იქმნება გარემო, სადაც ყველას გონება, მასწავლებლისა თუ მოსწავლის, სწავლითა და ნიშნავლითა დაკავებული. ამ კონსტრუქციულ და თანამშრომლობით გარემოში, სადაც არავინ არ ეჯობრება ერთმანეთს, არავინ ედრება სხვას, ხორცს ისხამს პედაგოგიკის ჯადოსნური ძალა: **თითოეული მოსწავლე განავითარებს საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების მაქსიმუმს.** ამ სასწავლის განხორციელება შეუძლია მხოლოდ პედაგოგს (და არა სტანდარტიზებულ ტესტირებას), რომლის მზერა მოსწავლის განვითარების პროცესზეა მიმართული. სწორედ ამგვარ მშვიდ, არაგანსჯით და არაკონკურენტულ გარემოში შეიძლება დაფრთიანდეს მაღალკონკურენტუარაინი საზოგადოება.

სტანდარტიზებულ ტესტზე ორიენტირება განაპირობებს უხარისხო განათლების ხელშემწყობი ორი ფაქტორის გაძლიერებას: სწავლების პროცესის სტანდარტიზაციის და კონკურენციის.

უგულბელყოფილი იქნება თითოეული მოსწავლის ადრეული ცოდნა, რის გამოც მოსწავლეთა ერთი ნაწილი ვერ მოახერხებს საკუთარი უნარების გამოვლენასა და განვითარებას. მოსწავლეები საკუთარ ნიშნავლსთან კი არა, საერთო ნორმასთან მიმართებით შეფასდებიან, განჩნდებიან „გამარჯვებულები“ და „დამარცხებულები“... დამარცხებულებს საკუთარ ძალთა განვითარებისა და ნიშნავლის გზები დაეშობათ, მათი ძალისხმევის კვალი დაიკარგება, დადაბლდება მათი სწავლის მოტივაცია: ისინი სულ უფრო ნაკლებად ისწავლიან, რითაც კიდევ უფრო მეტად გაუარესდება მათი შედეგები, დაკარგვენ საკუთარი შესაძლებლობების რწმენას და იმის იმედს, რომ ოდესმე შეძლებენ მოგვლენათა კურსის შეცვლას, რაიმე წარმატების მოპოვებას.

მოსალოდნელი შედეგები – „დამარცხებულთა“ კატეგორიის მიკუთვნებული მოსწავლეები ერთგვარ მოჯადოებულ წრეში მოექცევიან. ამ მოჯადოებულ წრედან გამოდევნის შანსები მით უფრო მცირდება მოსწავლეებისათვის, რაც უფრო ადრეულ საფეხურზე გამოუტანს მათ სისტემა **განაჩენს**. სწორედ ამ ბავშვების სახელით უნდა ავტეხოთ განჯამი ამ ინიციატივის წინააღმდეგ. ეს ხომ ქვეყნის მასშტაბით ათიათასობით მოსწავლის ბედს ეხება.

ახალი ინიციატივის შედეგად ტესტირების წარმატებით გავლა თითოეული სკოლის არსებით საზრუნავად გადაიქცევა. ნებით თუ უნებლიეთ, დღის სწრაფი დადგება სკოლათა რეიტინგული რანჟირების საკითხიც. დირექტორებისა და მასწავლებელთა გონება დაკავდება რეინტიგზე ზრუნვით, ყველას ძალისხმევა წარიმართება „სხვაზე“ უკეთესი ადგილის დაკვდრებისაკენ (და არა ხარისხიანი განათლების მოწოდებისაკენ). საგანმანათლებლო პროცესის შუაგულში, მოსწავლის ნაცვლად, მოექცევა „მართონი უკეთესი ადგილის მოსაპოვებლად“. გაუქმდება პრინციპი „მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლე“. ასეთ გარემოში მნიშვნელოვანი გახდება ის მოსწავლე, რომელიც შეჯიბრებაში წარმატებას განაპირობებს, ხოლო „არასასურველად“ გადაიქცევა ის, ვინც ამ „წარმატებას“ აფერხებს. სკოლის სტრატეგია წარიმართება „წარმატების“ მომთანი მოსწავლეების გაძლიერება-მოზიდვისაკენ და „არასასურველი“ მოსწავლეების (მიჭირს ამის თქმა, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას) მოშორებისაკენ (ამის სამწუხარო გამოცდილებაც მივიღეთ ზედა კლასებში სტანდარტიზებული გამოცდების დანერგვის შედეგად, როდესაც რეიტინგის ასამალებლად სკოლებიდან უმეხდებოდა 14-15 წლის „არასასურველ“ მოზარდებს). სად არის აქ პედაგოგია?!

ყოველწლიურად ათიათასობით მოზარდის დასაბიჩრებული პოტენციალი ისევ ქვეყანას დაანებდა პრობლემად და შემავარცხნელად იმოქმედებს მის განვითარებაზე. მოკლეგადიან პერსპექტივაში ეს განაპირობებს განათლების დონის დადაბლებას, გრძელვადიან პერსპექტივაში კი – ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სერიოზულ შეფერხებას.

დასასრულად, გვსურს გამოვთქვათ იმედი, რომ საზოგადოება სერიოზულად დაფიქრდება იმაზე, არის თუ არა მიზანშეწონილი ჩვენი მოზარდების მდიდარი და უნიკალური შინაგანი სამყაროს ჩამოქნა სტანდარტიზებული ტესტის „მსგავსად და ხატად“. მოწოდება სრულიად სხვაგვარია...

მომზადებისა და გადამზადების საკითხები თანამედროვე ეტაპზე

ჩვენს ქვეყანაში განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმამ სკოლაში არსებითად შეცვალა არა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შინაარსი, არამედ მისი ფორმაც. ამ მიზნით შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმა და საგნობრივი სტანდარტები, ასევე – მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს პედაგოგთა მომზადებისა და გადამზადების სტრატეგიები.

დანეხებითი სკოლის 6 წლით განსაზღვრამ განაპირობა სკოლისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მომზადება შემდეგი საფეხურებისათვის:

- ა) დანეხებითი (I-IV) კლასების მულტიდისციპლინარული სწავლების მასწავლებელი, რომელიც მობილიურ ენასთან ერთად ბავშვებს მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებასაც ასწავლის; ბ) დანეხებითი (I-VI) კლასების საგნის მასწავლებელი; გ) საბაზო და საშუალო საფეხურების საგნის მასწავლებელი.

რა ვითარებაა დღეს ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში? 2006 წელს დამტკიცდა მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია (საქართველოს მთავრობის დადგენილება №29, 09 თებერვალი, 2006). მომზადებული დოკუმენტის მიხედვით, მასწავლებლობის უფლების მოპოვება შეეძლოთ განათლების ბაკალავრებსა და განათლების მაგისტრებს სკოლაში ერთნაირი გამოსაცდელი პერიოდის (მენტორ-მადიებლობა) და სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ. განათლების ბაკალავრებს მხოლოდ დანეხებით კლასებში სწავლების უფლება ჰქონდათ, ხოლო განათლების მაგისტრებს – დანეხებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. ამ მოსაზრების უკუგდება მალევე გახდა საჭირო, რადგან მაგისტრატურაში არ სწავლობს იმ რაოდენობით მასწავლებლობის მსურველი, რამდენის საჭიროებაა. ამდენად, შემდეგ წლებში ბაკალავრიატდამთავრებულებსაც მიეცათ მასწავლებლობის უფლება, თუმცა, მათ მენტორ-მადიებლის პროგრამა უნდა გაეწეოთ, ან ერთნაირი საშუალო სტაჟი დაეგროვებინათ, რომ შეძლებოდათ სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლა. ამ კანონში შეტანილ იქნა ცვლილება

2012 წელს, რომლის მიხედვითაც ყველა უმაღლესდამთავრებულ ბაკალავრს პროფესიაში შესვლის უფლება მიეცა მადიებლობის გავლის გარეშე.

პედაგოგის კვალიფიკაციას არ ანიჭებს არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი. რაც შეეხება განათლების ბაკალავრს, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო უნივერსიტეტი უშვებს, ფაქტობრივად, მხოლოდ დანეხებითი (I-IV) კლასებისთვის სპეციალისტთა მომზადებას გულისხმობს, საბაზო და საშუალო საფეხურების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი არ მზადდება, არ მზადდება არც ამ საგნის მასწავლებელი I-VI კლასებისათვის.

დღეს მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საგნის მასწავლებლის მომზადების ე.წ. minor 60-კრედიტიანი პროგრამა, რომელიც არჩევითია. პედაგოგის პროფესიის არაპრესტიჟულობის გამო (და ალბათ იმის გამოც, რომ სტუდენტებს, როგორც წესი, არ ჰყავთ ე.წ. „ტუტორები“), ეს პროგრამები ფაქტობრივად არ მოქმედებს ან ისმენენ მათ შემთხვევითი პირები (მომავალი ბიზნეს-ადმინისტრატორები, ფინანსისტიები, ტურიზმის მენეჯერები...) ე.წ. „თავისუფალი კრედიტების“ დაგროვების მიზნით. ყოველივე ამის გამო არ არის გამორიცხული, რომ სულ მალე დაეგვეთ ამ მიმართულებით მასწავლებელთა დეფიციტის, არაკომპეტენტურობისა და არაპროფესიონალიზმის პრობლემების წინაშე. რაც შეეხება მენტორ-მასწავლებელს, რომელსაც უნდა დაყრდნობოდა ახალბედა მასწავლებლის მომზადება სკოლაში, მისი პროგრამა არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ მოქმედებს. თითქმის მთლიანად უგულებელყოფილია პედაგოგიური პრაქტიკის როლი მომავალი პედაგოგის მომზადების საქმეში, ან მას ფიქტიური ხასიათი აქვს.

მასწავლებლობის უფლების მინიჭება მოქმედი კანონმდებლობით კვლავაც მხოლოდ სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შემდეგ ხდება. ამგვარი გამოცდა ჩაბარებული აქვს უკვე ათასობით მოქმედ მასწავლებელს; რაც შეეხება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობის მსურ-

ველებს, მათთვის, როგორც ვთქვით, 2012 წლიდან სავალდებულო არ გახლავთ შესაბამისი განათლების ქონა ქართულ ფილოლოგიაში. რამდენიმედიანი ტრენინგის გავლისა და სასერტიფიკაციო გამოცდაზე მინიმალური ბარიერის გადალახვის შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობის უფლება ეძლევა ყველას, ანუ ზოგადპროფესიული და საგნობრივი კომპეტენციების განმსაზღვრელი ხდება მხოლოდ სასერტიფიკაციო გამოცდა ორ საგანში და არა შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

მოქმედმა ხელისუფლებამ, ამ ვითარების გამოსწორების მიზნით, უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები, კერძოდ, შემუშავდა პედაგოგთა მომზადებისა და კარიერული ზრდის კონცეფცია, მაგრამ ამ კონცეფციაშიც, სამწუხაროდ, ძირითადი ყურადღება მასწავლებელთა გადამზადებაზე და არა – მომზადებაზე. მასში აღნიშნულია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში უნდა მიიღონ სტუდენტებმა მასწავლებლის პროფესიული და საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნა და აღიჭურვონ შესაბამისი უნარებით, რისთვისაც აუცილებელია, რომ უმაღლესი პროგრამები შესაბამისობაში იყოს საგანმანათლებლო სტანდარტებთან არა მხოლოდ დეკლარირებულად, არამედ რეალურად აღსანიშნავია, რომ ამ კონცეფციაშიც მასწავლებლობის მსურველთათვის მხოლოდ 60-კრედიტიანი მოდულია გათვალისწინებული და არა – მიმართულია.

მისასალმებელია, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სახელმწიფო დააფინანსებს განათლების მიმართულებას უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი უნივერსიტეტები სახელმწიფოს ამ ნაბიჯს ვერ ხედეიან მომზადებულნი.

ნათელა მაღლაკალიძე
ილიას უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგიაში

შემოქმედებითი უნარების განვითარება ბაკვეთილში

თანამედროვე ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია ადამიანი ფლობდეს შემოქმედებით უნარებს, შეეძლოს არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღება. შემოქმედებითი უნარების განვითარების აუცილებლობაზე მიუთითებენ ფსიქოლოგები და აღნიშნავენ, რომ „ეს არის ადამიანის უნარი, ააგოს თავისი სამყარო, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება (სიტყვით, ხატვით, მუსიკით, საქმიანობით) და წარმოაჩინოს თავისი თავი ამ სამყაროში“. სწორედ ამიტომ, ამ უნარის განვითარებას სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

მასწავლებლის ნიჭიერება არა მარტო საგნის ღრმა ცოდნაში ვლინდება, არამედ იმაშიც, რამდენად იცნობს თავის მოსწავლეებს, რამდენად ესმის მათი. მასწავლებელმა უნდა აღმოაჩინოს, გამოავლინოს და განავითაროს მოსწავლეებში ის თვისებები, რომლებიც მათი შემოქმედებითი აზროვნების საფუძველში დევს ჩანასახის სახით. ამას ის მოახერხებს შემოქმედებითი მიდგომით, ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნით. ამბობენ, რომ „შემოქმედ მასწავლებელს ჰყავს შემოქმედებითი უნარის მქონე მოსწავლეები“, სრული ჭეშმარიტებაა, რადგან სწორედ მასწავლებელი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, სიახლის მადიებელი, ორიგინალური, არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიმღები, შემოქმედი. ის მუდმივად უნდა ზრუნავდეს გამოიწვიოს მოსწავლეები, ნააქემოს თამამად წარმოაჩინონ თავიანთი უნარები, შესაძლებლობები და შემდეგ, ეს ისევე მათი შემოქმედებითი უნარების გასავითარებლად გამოიყენოს. მასწავლებელი მიზანმიმართულად უნდა წარმართავდეს თავის საქმიანობას და აუცილებლად მიადგინოს წარმატებებს.

ბევრი რამ მოეთხოვება, მას რთული, საპასუხისმგებლო მისია დაეკისრა, რომელსაც წარმატებით უნდა გაართვას თავი. თანამედროვე მასწავლებლის წარმატების ასეთი ფორმულა შემოგვთავაზა ერთ-ერთმა უცხოელმა კოლეგამ:

„პროფესიის სიყვარული+შთაგონება+კომპეტენტურობა+მორალური მხედველობა=თანამედროვე მასწავლებელი“.

ამ ფორმულიდან ვერცერთ შემსაკრებს ვერ გამოვირიცხავთ, პირიქით, მათი რაოდენობა შეიძლება მეტადაც გაიზარდოს. შემოქმედი მასწავლებელი არა მარტო ცოდნას გადასცემს, არამედ ასწავლის ცქერას და დანახვას, ფიქრს და გაანალიზებას, კამათს და არგუმენტირებას, კვლევას და საკუთარი პოზიციის დაცვას. ყველა ბავშვს აქვს მდიდარი ფანტაზია, წარმოსახვა, გამოგონების, შეთხზვის, თამაშის მოთხოვნილება, ამიტომ მასწავლებელმა ეს უნდა გამოიყენოს მათი შემოქმედებითი უნარების გასავითარებლად, შესთავაზოს მათ სხვადასხვა სახის აქტივობა-დისკუსიები, თამაშები, პრობლემური სიტუაციები და სხვ.

ასეთი მასწავლებლისა და მისი მოსწავლეების საქმიანობა თავისთავად უკვე არის შემოქმედებითი პროცესი, რომლის საბოლოო შედეგი გახლავთ შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა – მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარება.

ამგვარად, „შემოქმედებითობა, ანუ კრეატიულობა ეს არის შემეცნების, არასტანდარტულ სიტუაციებში გადაწყვეტილების პოვნის უნარი, ეს არის მიზანდასახული სვლა ახლის აღმოსაჩენად და საკუთარი გამოცდილების სიღრმისეული გაცნობიერება“, ამიტომ შემოქმედებითი უნარების განვითარებას გაკვეთილზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება.



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ასხადებს ვაკანსიას შემდეგ პოზიციებზე

ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით:
სრული-პროფესორი – 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი – 2 ვაკანსია

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
სრული პროფესორი

ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი;
ბ) შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის, მინიმუმ, სამწლიანი გამოცდილება.

ასოცირებული პროფესორი

ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი;

ბ) შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის, მინიმუმ, სამწლიანი გამოცდილება.

2. სავალდებულო საბუთების წუსხა:

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. ფოტო (3X4);
3. რეზიუმე CV (ქართულ და ინგლისურ ენაზე);
4. დიპლომების ნოტარიულად დამოწმებული ასლები;
5. შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსები (ქართულ და ინგლისურ ენაზე).

დაინტერესებულმა კანდიდატებმა საბუთები უნდა წარმოადგინონ

2013 წლის 22 ივნისიდან 2013 წლის 5 აგვისტოს
17:00 საათის ჩათვლით, 10:00 საათიდან 13:00 საათამდე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცელარიაში.

დაგაბაბითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
მის.: დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, №2, ტელ.: 2 59 50 05 (128)
საკონტაქტო პირი: გოდარძი გუჩაშვილი
www.ibsu.edu.ge, contact@ibsu.edu.ge

ქართული სტუდენტები უსსოთში

პირობით დაუზარლად და სხპასს გაკუნდომთ დახმარების სელი

ესაუბრა მამა ყიფინანი

– გამარჯობა, ნინო. საზღვარგარეთ განათლების მისაღებად, გაცვლითი პროგრამით, მე-9 კლასიდან გაემგზავრე, რატომ გადაწყვიტე ასე?

– ყველაფერი დაიწყო 2001 წელს, როდესაც ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიის მე-9 კლასის მოსწავლემ სკოლაში შემთხვევით აღმოვაჩინე განცხადება მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის – FLEX-ის შესახებ. როგორც გავიგე კონკურსამდე სულ რაღაც ორი კვირა რჩებოდა და გამარჯვებულები სასწავლებელად ერთი წლით უნდა წაყვანათ ამერიკაში. იმ მზიანი სექტემბრის დილას გადავწყვიტე, გამეკეთებინა რაც შემიძლო, რათა მეც გამარჯვებულთა შორის აღმოვჩენილიყავი და დავინწყე მზადება. იმ დროიდან განსაკუთრებით დამამახსოვრდა ვეებერთელა ინგლისურ-ქართულ ლექსიკონთან გატარებული გრძელი ღამეები და ახალი სიტყვების კორიანტელი – ასე ძლიერ რომ ვცდილობდი შემესწავლა. მაშინ ხომ კომპიუტერის და სწრაფი თარგმანის ფუნქციონირება არ გექონდა.

და აი, დადგა გამოცდის დღეც, რომელსაც მალე მოჰყვა მე-2 და მე-3 ეტაპებში გადასვლა. სკოლაში მეუბნებოდნენ, ჯერ პატარა ხარ და ალბათ მოგინებს კიდევ სცადო მომავალ წლებში, რადგანაც, როგორც წესი, ამ პროგრამით ამერიკაში მხოლოდ უფროსკლასელები მიჰყავდათ. მე კი წარმატების მაინც მჯეროდა და, რაც ჩემგან საჭირო იყო, ყველაფერს ვაკეთებდი. მალე მოვიდა გაზაფხულიც და მასთან ერთად სასიხარულო ამბავიც.

შემდეგი სასწავლო წელი ამერიკაში გავატარე – მიჩიგანის შტატის ცენტრალური მონტკალმის საჯარო სკოლაში. ეს იყო ძალიან საინტერესო და სასარგებლო გამოცდილება, რისი მიღების საშუალებაც, ფიქრობ, კარგი იქნება უფრო მეტ ახალგაზრდას რომ ჰქონდეს.

– ამის შემდეგ საქართველოში ბრუნდები და უმაღლესი განათლების მისაღებად ამერიკულ ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში აბარებ?

– დიახ, საქართველოში დაბრუნებისთანავე ჩავაბარე თბილისში, ამერიკულ ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე და ჩემი ცხოვრების უღამაზესი წლები დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში AUH ჩემთვის არა მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტების განათლების მიღების ადგილად გადაიქცა, არამედ თბილ ოჯახად, სადაც ყოველთვის მზად არიან მოგისმინონ და მოგცენ სასარგებლო რჩევები. ვსწავლობდი კარგად და რადგან მაინტერესებდა უფრო მეტი, თანაც შესაბამის დროც მრჩებოდა, ვიღებდი დამატებით საგნებსაც.

ოთხი წლის თავზე კი მოხდა ისე, რომ ერთი დიპლომის ნაცვლად ავიღე ორი, დამატებითი – მენეჯმენტში.

– ორი დიპლომის მიუხედავად სწავლის გასაგრძელებლად ისევ საზღვარგარეთ მიდიხარ, რატომ?

– AUH-ში სწავლის პერიოდში, უკვე II-III კურსებზე, აქტიურად დავინწყე ფიქრი მომავალზე. ვცდილობდი გამეკვია, რა მსურდა მეკეთებინა სწავლის დასრულების შემდეგ. ერთი, რაც დანამდვილებით ვიცოდი, ის იყო, რომ მინდოდა მომავალში მქონოდა სამსახური, რომელიც საშუალებას მომიცემდა დავხმარებოდი გაჭირვებაში მყოფ ბევრ ადამიანს, განსაკუთრებით ბავშვებს არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ამისთვის კი, სავარაუდოდ, სწავლის გაგრძელება საზღვარგარეთ დამჭირდებოდა. ამ ფიქრით დავინწყე ინტერნეტში სამაგისტრო პროგრამების ძებნა და ბევრი ძებნის შემდეგ ვიპოვე ის, რაც ჩემს ინტერესებს იდეალურად შეესაბამებოდა – სამაგისტრო პროგრამა ჰუმანიტარულ დახმარებაში.

დავინწყე აპლიკაციების შევსება, რეკომენდაციების აღება და საბუთების შეტანა ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტში ამ განხრით, მათ შორის გრონინგენის უნივერსიტეტშიც, სადაც შემდგომში, 2007 წელს, მიმიღეს. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო ჩემი მიზნისკენ, რადგან დაფინანსების მოპოვების გარეშე ვერაფერს შევძლებდი. თავიდან ვცადე დაფინანსების მიღება ერაზმუს მუნდუსის პროგრამიდან, მაგრამ ასაკის სიძვირისა და სამუშაო გამოცდილების ნაკლებობის გამო უარი მივიღე, რადგან კონკურენცია მაღალი იყო. მალევე, მაგისტრატურაზე მიღების შემდეგ, როგორც წინააღმდეგობა მოსწავლეს ბაკალავრის დიპლომით, გრონინგენის უნივერსიტეტმა თავად შემომთავაზა, შემეტანა განცხადება ჰოლანდიის განათლების სამინისტროს პროგრამაზე – HSP Huygens Programme დაფინანსების მოსათხოვრად. ასეც მოვიქციე და მივიღე სრული დაფინანსება 18-თვიან ევროპულ სამაგისტრო პროგრამაზე ჰუმანიტარულ დახმარებაში.

– გვიამბე ამ პროგრამისა და გრონინგენის უნივერსიტეტის შესახებ, სასწავლო პროგრამების, ლექციებისა და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების როლსა და მნიშვნელობაზე.

– ეს პროგრამა დაარსდა 90-იან წლებში ევროკომისიის მიერ და შვიდ ევროპულ უნივერსიტეტს აერთიანებს. შესაბამისად, შესაძლებელია სემესტრების გავლა სხვადასხვა უნივერსიტეტში. პროგრამის პირველი სემესტრი დავხურე გრონინგენის უნივერსიტეტში, რომელიც ნიდერლანდების სამეფოში ერთ-ერთი უძველესი და წამყვანი უნივერსიტეტია, განსაკუთრებით სამეცნიერო კვლევების დარგში, სამაგისტრო პროგრამების კუთხით და უზარმაზარი ბიბლიოთეკით, რომელიც სტუდენტებს მათთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხზე სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას აძლევს. 400-წლიანი არსებობის მანძილზე, ამ უნივერსიტეტს არაერთი ცნობილი კურსდამთავრებული ჰყოლია, მათ შორის, სამეფო ოჯახის რამდენიმე წევრი და ევროპის ცენტრალური ბანკის პირველი პრეზიდენტი. მეორე სემესტრი დეუსტოს უნივერსიტეტში, ესპანეთში გავაგრძელე. პროგრამა ძალიან დინამიური და საინტერესო იყო, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუდენტებისა და მონაწილეობის მონაწილეობით, რომელთა შორისაც იყვნენ ცნობილი სპეციალისტები ჰუმანიტარული განხრით ისეთი ორგანიზაციებიდან, როგორებიცაა: გაერო, ნიუელი ჯგერის საერთაშორისო კომიტეტი და ა.შ.

– სწავლის პარალელურად, გქონდა თუ არა სხვა ქვეყნებში მოგზაურობის ან სტაჟირების საშუალება?

– ყველაფერთან ერთად, მოპოვებული დაფინანსება, რა თქმა უნდა, მძლევდა იმის საშუალებას, რომ ბევრი მემოგზაურა და უკეთ გამეცნო ევროპა. ამ პროგრამის ნაწილი იყო ორი სტაჟირებაც, რომელიც გავიარე ინდოეთში – გაეროს ბავშვთა ფონდ (იუნისეფი) და ბრიუსელში – ევროკომისიაში. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ინდოეთის გაეროს ბავშვთა ფონდის სამთვინი სტაჟირების პროგრამა, რომელშიც ყოველწლიურად, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, 80-მდე ახალგაზრდა მონაწილეობს. როგორც წესი, კონკურსი თებერვალ-მარტში ცხადდება და შერჩეული კანდიდატები ინდოეთის სხვადასხვა ნაწილში, ოთხკაციან ჯგუფებად ნაწილდებიან. 2008 წელს, ამ პროგრამაში ჩართვის შემდეგ, მე გამანაწილეს ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი შტატის – ასამის ძალიან პატარა ქალაქ დიბრუგარში.

– საინტერესოა, რა საქმიანობას ეწეოდი? – მე და ჩემი ჯგუფის სამ წევრს ამერიკიდან და ინდოეთიდან დავალბად გვქონდა შეგვეფასებინა პროგრამა სახელად – „იმედის ნავი“, რომელიც მდინარე ბრაჰმაპუტრას კუნძულებზე მცხოვრებ მოსახლეობას საბაზისო სოციალურ სერვისებს აწვდიდა, კერძოდ კი – განათლებას და ჯანდაცვას. ჩვენი სამუშაოს დიდ ნაწილს შეადგენდა კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება და კუნძულებზე კითხვარების ადმინისტრირება, შემდეგ კი რეკომენდაციების შემუშავება მთავარი დაინტერესებული მხარეებისათვის (იუნისეფი და ასამის მთავრობა).

– გარდა საქმიანობისა, რით დაგამახსოვრდა ინდოეთში გატარებული დღეები, როგორია აზიელი ხალხის ცხოვრება, განსაკუთრებით ახალგაზრდების. რა არის მათთვის პრიორიტეტული?

– განსაკუთრებით საინტერესო სანახავი იყო, მუსონური წვიმების დროს, როგორ იყარება წყლით ეს კუნძულები და მოსახლეობას თავის შეფარება მოშორებულ ბანაკებში უნევს. ამ კუნძულებზე არც საავადმყოფოა და არც სკოლა, მოსახლეობა კი, ყველაზე მეტად პირუტყვის – მათი ერთადერთი მარჩენალის დავარგვას ნუსს. როცა თავიდან ადვილად აცილებადი დაავადებების გამო ათეულ შვილთაგან ერთ-ერთი ეღუპებოდა, ამბობენ – არა უშავს, კიდევ გვეყოლებო. მიუხედავად ყველაფრისა, ისინი უაღრესად სტუმართმოყვარეები და მაღლიერები არიან იმ ცხოვრებისა, როგორიც აქვთ. ერთადერთი, რაზეც ხშირად დაიჩვილებენ ხოლმე ჩვენი თანატოლები, არის ის, რომ სათანადო განათლების მიღების საშუალება არ აქვთ და



მიაჩნიათ, რომ ჩვენ ძალიან გავვიმართლა, რაც აუცილებლად უნდა დავაფასოთ და სწორად გამოვიყენოთ.

მკითხველს დეტალებით თავი რომ არ შევანყინო, მოკლედ ვიტყვი, რომ სწორედ ამ სამაგისტრო პროგრამის წყალობით მივალწიე იმას, რაც იყო მთელი ჩემი ბავშვობის ოცნება – მემუშავა გაეროს ბავშვთა ფონდში. დიდხანს ვერ ვიჯერებდი, რომ სულ რაღაც 23 წლის უკვე ვმუშაობდი პროგრამის ხელმძღვანელად გაეროში, ვაკეთებდი და ვაგრძელებ ჩემი ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის კეთებას.

– ნინო, ამჟამად რა საქმიანობას ეწევი?

– იუნისეფში, უკვე მესამე წელია, ვმართავ ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების პროგრამას, რომლის მიზანია კატასტროფებისადმი მოსწავლეებისა და სკოლების მზაობის გაზრდა, რაც მათ უფრო დაცულს გახდის მინისტრის, წყალდიდობისა თუ სხვა სტიქიური მოვლენის შემთხვევაში. პროგრამა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და შ.ს.ს. საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით და ითვალისწინებს კატასტროფების რისკის შემცირებასთან დაკავშირებული საკითხების ჩართვას საგანმანათლებლო პოლიტიკასა და ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

– როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებულმა განათლებამ და დიპლომმა საქართველოში დასაქმებაში ითამაშა თუ არა გადაწყვეტი როლი?

– როცა ვაანალიზებ ჩემს აქამდე განვლილ გზას, ვხედავ, რომ ყველაფერი ერთმანეთზე გადაჯაჭვული. სკოლის გაცვლითი პროგრამა პირველი კარი იყო წარმატებისკენ, რომელიც ჩემთვის გაიღო და მას შემდეგ მოჰყვა სხვა მრავალი. საზღვარგარეთ მიღებულმა განათლებამ და დიპლომმა საქართველოში დასაქმებაში უდავოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. თუმცა, არავინ იფიქროს, რომ ეს ყველაფერი მარტივად მოდის. იყო და არის ბევრი იმდენგაძრუება, რაც სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ დავნებდეთ მიზნისათვის ბრძოლას. როგორც უინსტონ ჩერჩილი ამბობდა, წარმატება ხომ დამარცხებათა სერიაა, ენთუზიაზმის დაკარგვის გარეშე... მთავარია, გავარკვიოთ რა გვსურს, მთელი გულით მაქსიმუმი ჩავდეთ შედეგის მისაღწევად. სანახევროდ საქმე არ კეთდება. იმისთვისაც მზად უნდა ვიყო, რომ რაც დრო გავა, ცხოვრების მაღალ საფეხურზე ასვლა უფრო გართულებულია. ზოგს ყველაფერი მარტივად მიეცემა, ზოგს კი – უფრო რთულად.

რასაც უნდა ვაკეთებდეთ, ნებისმიერ საქმეში, უნდა ვეცადოთ ვიყოთ საუკეთესოები, ვიშრომოთ დაუზარლად და სხვადასხვა გაკუნდომთ დახმარების ხელი. რაც წარმატებას მიაღწიოთ, ვიქონიოთ მოთმინება და შეუპოვრობა! დაბოლოს, „ყოველთვის გახსოვდეთ, თქვენი გადაწყვეტილება, რომ წარმატებას მიაღწიოთ, ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა დანარჩენი“ – აბრამ ლინკოლნი.

გისურვებთ წარმატებებს!



ქართული, როგორც მეორე ენა

ბალერია

უნიკალური მოვლენა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის პროექტი „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“.

ქართული ენის მასწავლებლები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პიროვნული გმირობის ფასად სამშობლოს ემსახურებიან

კლარა ფიცხვარაშვილი

2013 წლის მაისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა ახლად შემოღებული სამკერდე ნიშნით „ამაგდარი“ პირველად დააჯილდოვა.

„მისი მოსწავლეები კონკურსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობენ, ქართულ ენაზე სპექტაკლებს დგამენ, ფოკის საჯარო სკოლის მოსწავლეთა უმეტესობა, რომელიც სტუდენტის ხდება, ქალბატონი კლარას მოსწავლეა“ - ნათქვამია დაჯილდოების ანოტაციაში.

ეს ადამიანი, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, 25 წელია მუშაობს ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკის საჯარო სკოლაში და სომეხებს ასწავლის საქართველოს სახელმწიფო ენას.

90-იან წლებშივე, იქ, სადაც წმინდა ნინომ პირველად იკითხა: „რომელია ქართლის გზა?“, ხელახლა აღორძინებდნენ ფოკის დედათა და მამათა მონასტრებს.

კლარა ფიცხვარაშვილი შრომობდა სკოლაშიც და დედათა მონასტრშიც. მან, სხვებთან ერთად, საკუთარი სუსტი მხრებით ზიდა უდაბნოს პირველმუშაკისა და მლოცველის უმძიმესი ტვირთი.

ფოკა ზამთარში 5-6 თვით წყდება სამყაროს. თოვლის ვეება მთები კეტავს გზებს და აქედან გაღწევის თეორიულ შანსსაც ეი არ ტოვებს.

90-იან წლებში, საყოველთაო გაჭირვების პირობებში, ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური პროტესტის ფონზე, მიზერული ხელფასით ასეთი მისიის შესრულება თითქმის შეუძლებელი იყო.



შორენა ხუხუა

ვინც 2012 წლის ნოემბერში ტელეარხზე „იმედი“ გადაცემას „იმედის გმირი“ უყურა, ნახავდა შორენა ხუხუას, რომელიც facebook-გამარჯვებული გახდა. მაშინ შესანიშნავად ისაუბრეს მასზე, მაგრამ ყველაფერი მაინც არ თქმულა და ალბათ, ვერც მე ვიტყვი. უმთავრესი კი მაინც ის არის, რომ ცხრა წლის წინ სოფელ სადახლოში პირველ მისიონერად ჩასული შორენა ავტოკატასროფაში მოჰყვა და ეტლს მიეჯაჭვა. რა მოხდა შემდეგ?

გადიგანა ხუთი ოპერაცია. წლების მანძილზე ვერ დადიოდა და აგრძელებდა მუშაობას თბილისიდან სადახლოში. მუდამ პირველია. ინიციატივანი, სიცოცხლით სავსე.

ასწავლის ქართულ ენას სოფელ სადახლოს საჯარო სკოლაში.

დააარსა არასამთავრობო ორგანიზაცია „კეთილი ნების მისია-მისიონერები“, რომელიც ძალზე აქტიურადაა ჩართული სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში.

მისი მოღვაწეობის ნიადაგზე აღმოცენდა უმშვენიერესი ყვავილი - **შუბარ ბაირამოვა**, რომელსაც უნაკლოდ ასწავლა



ქართული ენა, აღზარდა, სადახლოდან თბილისში წამოიყვანა, იშვილა... შუბარი დღეს ინტეგრირებულია ქართულ კულტურულ სივრცეში, უნაკლოდ ფლობს ქართულ ენას და არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი.

„შუბარი ჩემი შეილა“ - ამბობს შორენა და ვაი მას, ვინც ამ საკითხში, ოდნავ მაინც, ეჭვს შეიტანს.

ვერც იმაში შეიტანთ ეჭვს, რომ შორენამ, „ბოლტებით“ ხუთჯერ ანყობილმა - როგორც თვითონ უწოდებს საკუთარ თავს, მონაწილეობა მიიღო აფროსნების შეჯიბრში და გაიმარჯვა.

აი, ასეთმა მხურვალე გულმა, დაძლია სიკვდილი, ავადმყოფობა, უამრავი ბარიერი მუშაობის პროცესში, გაიმარჯვა და გააგრძელა საქმე, რომელიც სიცოცხლესავით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

ქართული ენა - სიყვარულის შუამავალი

2011 წლის ივლისში, სახელმწიფო პროგრამის „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ ინიციატივით, ბორჯომის რაიონის დაბა ნაღვერში საზაფხულო ბანაკი მოეწყო.

ღონისძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააფინანსა.

პროგრამის ფარგლებში ასეთი ბანაკის გახსნის ინიციატორებად ქართული ენის მასწავლებლები იქცნენ (რუსუდან ბარამიძე, ნატო კაპანაძე, ქეთევან ნასყიდაშვილი, ირმა შველიძე, იამზე მსხვილაზე, ანა ბაბლუანი, ზეინაზ ედიბერაძე, ცაულინა მალაზონია, მარეს მელიქიძე).

მათ 2009 და 2010 წლის ზაფხულში მოაწყვეს ასეთი საზაფხულო ბანაკები და ტოლერანტობის, ქართული ენის სწავლების თვალსაზრისით, კარგი შედეგებიც მიიღეს. ჯერ კიდევ მაშინ, პედაგოგები სიხარულით აღნიშნავდნენ სომეხი და აზერბაიჯანელი ბავშვების უანგარო მეგობრობას, რაც ქართულ ენაზე კომუნიკაციის დახმარებით ჩამოყალიბდა. 2011 წლის ნაღვერის ბანაკი „კეჩხოზი-2011“ მასწავლებლების - **ლელა წიკლაურის, ნინო წიკლაურის, ნანა ჩუნიტიშვილის, ნათია გოგიაშვილის, თემურაზ შალამბერიძის, მადონა ესაკიას, მაკა ანთაძის, თეა გიგიტაშვილის** - აქტიური თანამშრომლობით შეიქმნა. წამოწყებას პროგრამის კოორდინატორმა **მაკო ჭილაშვილმა** მხარი დაუჭირა და უშუალოდ უხელმძღვანელა.

ბანაკმა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სოფლების: მუშევანის, ქურთლარის, თაქალოს, არქენის, მამხუტის, ახქერფის, განძის, აშხალის სკოლების აზერბაიჯანელ და სომეხ ბავშვებს უმასპინძლა.

„ჩვენი მიზანი სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდების დაახლოებაა, ისე, რომ მათ ერთმანეთთან სახელმწიფო ენაზე ისაუბრონ.“ - ამბობს თემურაზ შალამბერიძე.

მისივე თქმით, ეს ჩანაფიქრი განხორციელდა.

„...უფრო მეტიც, ბანაკში აზერბაიჯანელ გოგონასა და სომეხ ბიჭს ერთმანეთი შეუყვარდათ. მათ ჯერ კიდევ კარგად არ იცოდნენ ქართული და ერთმანეთს, „თარჯიმნების“ დახმარებით, ქართულად ესაუბრებოდნენ.“ - ღიმილით იხსენებს თემურაზი.

ნაღვერის საზაფხულო ბანაკმა სომეხი და აზერბაიჯანელი ბავშვები დაამეგობრა.

მაგალითი პროექტის მასწავლებელთა დიდმა უმრავლესობამ აიტაცა და ასეთი ბანაკებით მოჰფინა საქართველო.

ბანაკები წელსაც ყალიბდება და თავის ავტორიტეტულ სიტყვას ამბობს ახალგაზრდობის ტოლერანტებად ჩამოყალიბების საქმეში, რაც ასე საჭიროა ჩვენი სახელმწიფოსთვის.

ნინო სურმავა

„უკულმა ბიჭი“ ნინო სურმავას მშვენიერი ქართული დაწერილი, სინათლითა და სიტბოთი სავსე საბავშვო მოთხრობაა. ის გამოქვეყნდა სასწავლო გაზეთში „აეროუსი“, 2013 წლის აპრილში, პირველივე ნომერში. გაზეთი ახალი ჩამოყალიბებულია და მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეებისთვის

დამატებითი სასწავლო ტექსტების მიწოდებას
- დიტო, ჯერ არ ჭამო ვაშლი, გაურეცხავია! - დაუძახებდა დედა.

დიტო კი, აბა, თუ მიხვდები, რას აკეთებდა? მაშინვე პირისკენ გააქანებდა ხოლმე ჭუჭყიან ვაშლს.“

ნინო სურმავა ერთი წლის მოსულია პროექტში. ის ძალზე ახალგაზრდა მასწავლებელია, ხოლო მარტივი და აუთენტური სასწავლო ტექსტების შექმნა სომეხი და აზერბაიჯანელი მოსწავლეებისთვის - ურთულესი საქმე.

ნინო კი, არა მხოლოდ საჭირო ტექსტი, არამედ მხატვრული ნაწარმოები შექმნა და ამ მიმართულებით კვლავ აქტიურად აგრძელებს მუშაობას, რაც მნიშვნელოვნად სცილდება ერთ სკოლაში მასწავლებლის საქმიანობის ფარგლებს და საერთო ეროვნულ სახეს იძენს.



P.S. ძვირფასო მკითხველო, ეს წერილი დასრულებული არ არის. იგი გაგრძელდება. შევეცდები უკეთ გააცნოთ ადამიანები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მუშაობენ, ასწავლიან სახელმწიფო ენას, იღვნიან სომეხებისა და აზერბაიჯანელი ეროვნების ადამიანების ქართულ სივრცეში ინტეგრირებისთვის და ამგვარად, თავად ქმნიან საქართველოს სახელმწიფოს მომავალს.

თვალსაზრისი

სკოლის მართვის მცენიერების მსახურის მსახური

ცნობილია, რომ ორგანიზაციის ან სფეროს წარმატებას 60-70%-ით განაპირობებს სწორი მართვა. შესაბამისად, თუ ჩვენ შევქმნივთ სკოლის მართვის მცენიერულ სისტემას, ამით სკოლის მართვის პრაქტიკის მკვეთრ გაუმჯობესებას შევძლებთ.

წინამდებარე სტატიაში ჩემი მიზანია გავაცნოთ სწორედ სკოლის მართვის მცენიერების ფუნდამენტური საკითხები, რომლის საფუძველზეც შეიძლება ჩამოვყალიბოთ სკოლის მართვის პრაქტიკული მნიშვნელობის მცენიერული სისტემა. იმედი მაქვს, ერთობლივი ძალისხმევით, შევქმნით სკოლის მართვის მცენიერებას, რომელიც ქართული სკოლის თანამედროვე და ეფექტური ორგანიზაციის სახით ჩამოყალიბდება შეუნყოფს ხელს.

1. სკოლის მართვის ცნება

სკოლის მართვის ცნების გაგება სკოლის მართვის მცენიერების ჩამოყალიბების საფუძველია. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სკოლის მართვის ცნების შემცენება. ამისათვის კი საჭიროა, ერთი მხრივ – „სკოლის“, ხოლო მეორე მხრივ – „მართვის“ რაობის გაგება.

სკოლის არსის ნიშნები სრულყოფილადაა გადმოცემული „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (მუხლი 2). მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი განმასხვავებელი ნიშანი:

1. სკოლა არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. ეს ნიშანი მას განასხვავებს სხვა სახის და მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან;

2. სკოლის მიზანია მოსწავლის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. მაშასადამე, სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის მიზანია მოსწავლის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

ხოლო რა შეიძლება ითქვას „მართვის“ ცნების შესახებ? ჯერ კიდევ ანტიკური და საერთოდ დასავლური ფილოსოფიის ფუძემდებელი სოკრატე მართვას მიიჩნევდა, როგორც ადამიანთა საქმიანობის განსაკუთრებულ სფეროს, რომლის მთავარი მიზანია საჭირო ადამიანების საჭირო ადგილზე დაყენება და მათ წინაშე დასახული ამოცანის მიღწევა (ე. ბარათაშვილი, ლ. თაკაიანიძე, ა. აბრალავა, მენეჯმენტი და ადმინისტრირება, გამ. „ინოვაცია“, თბ. 2007წ., გვ.37).

მართვის საკითხებს განიხილავდა ასევე გენიალური ბერძენი მოაზროვნე, სოკრატის მოწაფე პლატონი, რომელიც მართვას მიიჩნევდა მენეჯმენტად და თვლიდა, რომ იგი უნდა ეფუძნებოდეს საყოველთაოდ გააზრებულ კანონებს (იქვე, გვ.37).

თანამედროვე პერიოდში მართვის ცნება ხდება სისტემური კვლევის საგანი. მათ შორის საინტერესოა ცნობილი ავტორების – პ. დრუკერისა და მ. მესკონის – შეხედულებები. პიტერ დრუკერი მართვას განსაზღვრავს, როგორც „საქმიანობის განსაკუთრებულ სახეს, რომელიც არაორგანიზებულ ბიზნესს აქცევს მიზანმიმართულ და მწარმოებლურ გუნდად“ (იქვე, გვ.18).

პროფესორი მ. მესკონი, საყოველთაოდ ცნობილი სახელმძღვანელოს „მენეჯმენტის საფუძვლების“ თანაავტორი, მართვას ასე ფუნქციონირებს: „მართვა ეს არის დაგეგმვის, ორგანიზაციის, მოტივაციისა და კონტროლის პროცესი, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ ფორმირებულ და მიღწეულ იქნას ორგანიზაციის მიზნები“ (იქვე, გვ.18).

თანამედროვე მართვის სახელმძღვანელოების, მათი სტრუქტურის გათვალისწინებით, ჩემი აზრით, მისაღებია მესკონის თვალსაზრისი. აქვე აღსანიშნავია, რომ დღეს მენეჯმენტის ზემოთ აღნიშნულ ოთხ ფუნქციასთან – დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია და კონტროლი – განიხილება აგრეთვე ორი დამხმარე ფუნქცია – გადაწყვეტილება და კომუნიკაცია, რომლებიც ცნობილია, როგორც ძირითადი ფუნქციების დამაკავშირებელი პროცესები. მართვის მცენიერებაში დღეს მნიშვნელოვანია აგრეთვე ისეთი საკითხები, როგორებიცაა: მართვის სტილი, ძალაუფლების ფორმები, ჯგუფური

დინამიკა, კონფლიქტებისა და სტრესების მართვა, შრომის ნაყოფიერება, ადამიანური რესურსების მართვა...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სკოლის მართვა ეს არის სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია და კონტროლი, აგრეთვე მათი დამაკავშირებელი პროცესები და სხვა საკითხები, რომელთა მიზანია მოსწავლის აღზრდა და მომზადება პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

2. სკოლის მართვის მცენიერების საბანი, ობიექტი, დამოუკიდებლობა, ფორმა და შინაარსი

მას შემდეგ, რაც განსაზღვრეთ სკოლის მართვის ცნება, შეიძლება ჩამოვყალიბოთ სკოლის მართვის მცენიერების შესწავლის საგანი. სკოლის მართვის მცენიერების შესწავლის საგანია სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია და კონტროლი, დამხმარე ფუნქციები – გადაწყვეტილება და კომუნიკაცია, აგრეთვე მასთან დაკავშირებული საკითხები.

მცენიერების შესწავლის ობიექტი უფრო ზოგადია, ვიდრე მისი შესწავლის საგანი. სკოლის მართვის მცენიერების შესწავლის ობიექტი არის ადამიანი, ვინაიდან სკოლის მართვის მცენიერების აგებისათვის საჭიროა ადამიანური ბუნების, არსის ცოდნა გარკვეული ასპექტებით.

ესა თუ ის მცენიერება დამოუკიდებელია, თუ მისი შესწავლის საგანი განსხვავდება სხვა მცენიერებათა შესწავლის საგნისაგან.

სკოლის მართვის მცენიერება ყველაზე ახლოს დგას მენეჯმენტთან და პედაგოგიკასთან. სკოლის მართვის მცენიერების შესწავლის საგანი არ არის მენეჯმენტის შესწავლის საგნის იგივეობრივი. სკოლის მართვის მცენიერება შეისწავლის სკოლის მართვის ფუნქციებს, მაგრამ არა ზოგადად მართვის ფუნქციებს. ასევე, სკოლის მართვის მცენიერება არ არის პედაგოგიკის იდენტური, ვინაიდან პედაგოგიკა შეისწავლის მოსწავლის ფსიქიკის კანონზომიერებებს პედაგოგიურ პროცესში, პედაგოგიური პროცესისათვის აუცილებელ ელემენტებს.

ამდენად, სკოლის მართვის მცენიერება განსხვავდება მასთან ყველაზე ახლოს მდგომი მცენიერებებისაგან, რითაც არის განპირობებული მისი დამოუკიდებლობა.

მცენიერებას თავისი ფორმა და შინაარსი აქვს. მცენიერული ცოდნა შეიძლება არსებობდეს ორი ფორმით. ესენია: თეორია და მცენიერული სისტემა. ხოლო შინაარსის ელემენტებია: კანონები, კონსტრუქტები (კატეგორიები, ცნებები, ტერმინები) და ემპირიული მონაცემები. კანონები საგანითა შორის მიმართებებს ასახავს; კატეგორიები ამა თუ იმ მცენიერებაში მოქმედი ყველაზე ზოგადი და მაშასადამე, ფუნდამენტური მნიშვნელობის ცნებებია; ცნებები თავისი ზოგადობით უფრო ნაკლები ხარისხისაა, ხოლო ტერმინები კიდევ უფრო ნაკლები ზოგადობის ხარისხის შემცველი სიტყვებია. ემპირიული მონაცემები, ანუ ემპირიული მასალები ექსპერიმენტული ფაქტებია, რომელიც კონკრეტულობითა და ინდივიდუალურობით ხასიათდება. საინტერესოა, რომ ექსპერიმენტული ფაქტები თავისთავად არაფერს ხსნის, არამედ თვითონ მოითხოვს ახსნას, მაშინ როდესაც მცენიერული თეორია კანონების საშუალებით ახორციელებს ამხსნელობით ფუნქციას (მცენიერული თეორიის სტრუქტურის შესახებ – იხ. სერგი ავალიანი, მცენიერების ფილოსოფიის შესავალი, გამ. „მცენიერება“, თბ. 1991, გვ.161-170).

სკოლის მართვის მცენიერება მცენიერული სისტემაა (ფორმა). მას ასევე გააჩნია თავისი შინაარსი, ანუ კანონები, კონსტრუქტები და ფაქტები.

სკოლის მართვის მცენიერების ფარგლებში მოქმედი კანონებია:

- სკოლის სტრატეგიული მიზნები გამომდინარეობს სკოლის მისიიდან;
- მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ერთ-ერთი ფაქტორი არის უსაფრთხო და წამახალისებელი გარემო;
- სკოლის სტრუქტურა ემყარება სკოლის სტრატეგიულ მიზნებს და სხვ.

სკოლის მართვის მცენიერების ფუნდამენტური ცნება, ანუ კატეგორია არის „სკო-

ლის მართვა“. მისი შემცენება არის სკოლის მართვის მცენიერების საგნის შემცენების საფუძველი, რაც თავის მხრივ, სკოლის მართვის მცენიერების აგების საფუძველს ქმნის.

ასევე ფუნდამენტური მნიშვნელობის ცნებებია: „სკოლის სტრატეგიული გეგმა“, „სკოლის მისია და ხედვა“, „სკოლის მიზნები“, „სკოლის ორგანიზაციული და მართვის სტრუქტურა“, „სკოლის პერსონალის მოტივირება“, „სკოლის მონიტორინგი და შეფასება“ და სხვ.

უფრო ნაკლები ზოგადობის ცნებებია: „მასწავლებელთა პროფესიული განვითარება“, „მოსწავლეთა დასწრების ინდექსი“, „სწავლების მეთოდები“, „კლასის მართვა“, „სასწავლო გარემო“, „ოჯახური გარემო“, „სკოლის შიდა და გარე გარემო“ და სხვ.; ტერმინებია: „ცოდნა“, „უნარები“, „დამოკიდებულებები“, „სწავლა“, „სწავლება“, „ეროვნული სასწავლო გეგმა“, „სასწავლო ნლის ბოლოს მისაღწევი შედეგები“, „მასწავლებელი“, „კათედრა“ და სხვ. აღნიშნული ტერმინებს სხვა მცენიერებებში შეიძლება უფრო ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ სკოლის მართვის მცენიერებაში ისინი ტერმინებია.

მცენიერების შინაარსის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი არის ფაქტები, რომლებიც სინამდვილის კანონების შემცენების საშუალებას იძლევა. სინამდვილის არსი, ბუნება სწორედ ფაქტებში, მოვლენებში ვლინდება. ამიტომ, ფაქტებზე დაკვირვება მცენიერული შემცენების გზაა. სკოლის მართვის მცენიერება საჭიროა დაეყრდნოს რაც შეიძლება მეტი ემპირიული მონაცემების ანალიზს.

3. ტერმინოლოგიური სიუზსტისათვის

რომელი ტერმინის გამოყენებაა მართებული სკოლასთან მიმართებაში – მენეჯმენტის, მართვის თუ ადმინისტრირების?

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ტერმინი „მენეჯმენტი“ გამოიყენება სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მართვასთან მიმართებაში და არა სულიერი ან პოლიტიკური სფეროების მართვის აღსანიშნავად: „...ანსხვავებენ სოციალურ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების (ანუ იდეოლოგიის) მართვას. მენეჯმენტი წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური მართვის ერთ-ერთ რგოლს და მისი საგანია მატერიალურ ღირებულებათა შექმნაში მონაწილე ადამიანთა მმართველობითი ურთიერთობანი“ (ე. ბარათაშვილი, ლ. თაკაიანიძე, ა. აბრალავა, მენეჯმენტი და ადმინისტრირება, გამ. „ინოვაცია“, თბ. 2007წ., გვ.13).

სკოლა კი თავისი შინაარსით არ არის სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ორგანიზაცია, ვინაიდან მისი საბოლოო მამოძრავებელი მიზანი არ არის მოგების მიღება. ამიტომ, სკოლასთან მიმართებაში სიტყვა „მენეჯმენტის“ გამოყენება სკოლის მართვის აღსანიშნავად უმართებულო იქნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიტყვათშეთანხმება „სკოლის მენეჯმენტი“ არ არის სწორი.

ტერმინი „მართვა“ გამოიყენება სინამდვილის ყველა სფეროში. ესენია: 1. ცოცხალი ბუნება, 2. არაცოცხალი ბუნება (ტექნიკა, ტექნოლოგიები), 3. საზოგადოება (იქვე, გვ.11).

სკოლა საზოგადოებრივი სისტემის შემადგენელი უჯრედია. ამიტომ, თუ სიტყვა „მართვა“ გამოიყენება საზოგადოებრივი სისტემებში, მაშინ სკოლასთან მიმართებაში „მართვის“ გამოყენება სავსებით მართებულია.

რაც შეეხება „ადმინისტრირებას“, იგი გამოიყენება სახელმწიფო და საჯარო სამართლის ორგანიზაციებთან, რის გამოც, სიტყვათშეთანხმება „სკოლის ადმინისტრირება“ სწორია.

ამდენად, „სკოლის მართვა“ და „სკოლის ადმინისტრირება“ მართებული ტერმინებია. მე უპირატესობას მივანიჭებ „სკოლის მართვას“, იმ მიზეზით, რომ როცა ორი ალტერნატიული ერთნიშნა ტერმინი გვაქვს მოცემული, რომლებიც თანაბარმნიშვნელოვანია, უცხო სიტყვის გამოყენება არ არის საჭირო.

4. ადგილი მცენიერებათა სისტემაში

რა ადგილი უკავია სკოლის მართვის მცენიერებას მცენიერებათა სისტემაში?

მცენიერებათა დაყოფა ძირითადად ხდება სამი ასპექტით: 1) მნიშვნელობის მიხედვით, 2) სინამდვილის სფეროსადმი კუთვნილების მიხედვით, 3) ზოგადობის ხარისხის მიხედვით.

პირველი ასპექტით განასხვავებენ თეორიულ და გამოყენებით (პრაქტიკულ) მცენიერებებს.

თეორიული მცენიერებები შეისწავლის აბსტრაქტულ თემებს და მათ წმინდა მცენიერებებსაც უწოდებენ. მაგრამ თეორიული მცენიერებები თეორიულია მხოლოდ პირობითად, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი საბოლოოდ პრაქტიკული მნიშვნელობის მცენიერებებია რომელიმე მცენიერების გაშუალების შემდეგ. მაგალითად, ბიოლოგია აბსტრაქტული მცენიერებაა, რადგან მის დებულებებს უშუალოდ პრაქტიკული საქმიანობებისთვის ვერ გამოვიყენებთ, მაგრამ ბიოლოგიას ეყრდნობა მედიცინის პრაქტიკული მცენიერებები – ქირურგია, კარდიოლოგია – რომელთაც უშუალოდ პრაქტიკული გამოყენება აქვთ. მაშასადამე, ბიოლოგია მხოლოდ პირობითაა თეორიული მცენიერება. ის მედიცინის რიგი მცენიერებების გაშუალებით შემდეგ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს. ხოლო პრაქტიკული, ანუ გამოყენებითი მცენიერებები რომელიმე მცენიერების გაშუალების გარეშე, პირდაპირ გამოყენებით ფუნქციას ასრულებენ.

სკოლის მართვა პრაქტიკული, ანუ გამოყენებითი მცენიერებაა, ვინაიდან მისი დებულებები უშუალოდ პრაქტიკული განხორციელებისთვისაა დაკუთვნილი. ეს ეხება სკოლის მართვის ყველა ძირითად და დამაკავშირებელ ფუნქციას.

განასხვავებენ სინამდვილის სამ დიდ სფეროს, ესენია: ბუნება, ტექნიკა და საზოგადოება. შესაბამისად, მცენიერებები იყოფა საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ მცენიერებებად. საბუნებისმეტყველო მცენიერებათა ჯგუფს მიეკუთვნება: ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და სხვა მოსაზღვრე მცენიერებები. ტექნიკური მათემატიკური, ტექნოლოგიური, საინჟინრო მცენიერებები. საზოგადოებრივ მცენიერებებს მიეკუთვნება ისეთი მცენიერებები, რომელთა შესწავლის ობიექტი არის საზოგადოება ან ადამიანი. ასეთია: მემკვიდრეობის ფილოსოფია, პედაგოგიკა, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ეკონომიკა და სხვ.

სკოლის მართვა საზოგადოებრივი მცენიერებაა, იმდენად, რამდენადაც მისი შესწავლის ობიექტი არის ადამიანი – სკოლის მართვა შეისწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვას ადამიანებთან თანამშრომლობის (მაღალი ხარისხის თანასწორობისა და თავისუფლების პირობებში) გზით, ანუ სკოლის მართვის მცენიერების შექმნისათვის საჭიროა გარკვეული ასპექტებით ადამიანის არსის ცოდნა.

მცენიერებათა კლასიფიკაცია ცნობილია აგრეთვე ძირითად და არაძირითად მცენიერებებად. არსი თავისთავად, ანუ ის, რასაც მცენიერება შეისწავლის, განსხვავდება ზოგადობის ხარისხის მიხედვით. ზოგიერთი არსი უფრო ზოგადია, სხვა კი ნაკლებად ზოგადი. შესაბამისად, ზოგიერთი მცენიერება უფრო მაღალი ხარისხის ზოგადობის შემცველია, ზოგიერთი კი – ნაკლების. ნაკლები ზოგადობის მცენიერება გამომდინარეობს უფრო მაღალი ხარისხის ზოგადობის მცენიერებიდან. მათგან პირველი არაძირითადია, მეორე კი – ძირითადი. მაგალითად, კვანტური მექანიკა, ელექტრონული ნაწილაკების ფიზიკა და სხვა ნაკლები ზოგადობის მცენიერებებია ფიზიკის მიმართ. ამიტომ, ფიზიკა ძირითადი მცენიერებაა, კვანტური მექანიკა კი – არაძირითადი (მცენიერებათა კლასიფიკაციის შესახებ, იხ. ს. ავალიანი, მცენიერების ფილოსოფიის შესავალი, გამ. „მცენიერება“, თბ. 1991).

სკოლის მართვა არაძირითადი მცენიერებაა, ვინაიდან ის გამომდინარეობს უფრო ზოგადი მცენიერებიდან – მენეჯმენტისგან. მენეჯმენტი მართვის ზოგადი თეორიაა, სკოლის მართვა კი მართვას აკონკრეტებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართულებით.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ როგორც აკადემიკოსი სერგი ავალიანი აღნიშნავს, მცენიერებათა დაყოფა „ძირითადად“ და „არაძირითადად“ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მათ შორის განსხვავებაა მხოლოდ ზოგადობის

თვალსაზრისი

გრადაციის მიხედვით. „სხვა აზრით კი მეცნიერებათა დაყოფა „ძირითადად“ და „არაძირითადად“ შეუძლებელია“ (გვ.269).

დაბოლოს, სკოლის მართვა მეცნიერებათაშორის დისციპლინაა. ის, ერთი მხრივ, ეყრდნობა მართვის მეცნიერებას – მენეჯმენტს, ხოლო მეორე მხრივ – სკოლის არსის ცოდნას, რომელიც, თავის მხრივ, ემყარება პედაგოგიკურ მეცნიერებებს.

5. სკოლის მართვის მეცნიერების ისტორია

სკოლის მართვის მეცნიერების, კერძოდ მისი ფუნდამენტური ნაწილის – სკოლის სტრატეგიული მართვის – შექმნის ცდა სათავეს იღებს გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. ამ დროიდან, აშშ-სა და ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის სკოლებში, იწყება სტრატეგიული გეგმების შექმნა. 1989 წელს კი დიდ ბრიტანეთში სკოლებს დაევალებათ სტრატეგიული გეგმების შემუშავება. 90-იანი წლებიდან ასევე კანონით დაევალებათ აშშ-ს ზოგიერთი შტატის სკოლებს სტრატეგიული დაგეგმვა. 2005 წლიდან ეს პრაქტიკა განვითარებად ქვეყნებშიც იწერება.

საქართველოში სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის ცდა მოცემულია შრომებში: სკოლის მართვის სახელმძღვანელო (თავისუფლების ინსტიტუტი, 2007წ.); დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისათვის (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011წ.); სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011წ.); ასამთ დიასამიძე, თანამედროვე სკოლის მართვის სტრატეგიები (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012წ.).

აღნიშნული შრომები მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვის საფეხურებს, ესენია: სკოლის მისია და ხედვა, სკოლის მიზნები, სტრატეგიები, SWOT-ანალიზი, კონკრეტული გეგმები და მონიტორინგი. ეს ყოველივე მისასაღებელია და მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს სკოლის სტრატეგიული მართვის თეორიის განვითარების გზაზე, რამაც დადებითი ასახვა უნდა ჰქონოს სკოლის წარმატების ინდიკატორებზე.

აქვე საჭიროა დაფიქროთ, რომ სკოლის სტრატეგიული დაგეგმვა სკოლის მართვის მეცნიერების მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, ერთ-ერთი ფუნქციაა. სკოლის მართვის მეცნიერება, გარდა სტრატეგიული დაგეგმვისა, მოიცავს სამ ძირითად (ორგანიზაცია, მოტივაცია, მონიტორინგი) და ორ დამაკავშირებელ (კომუნიკაცია, გადანაცვლებები) ფუნქციას. საჭიროა ერთობლივი ძალისხმევით, შეხვედრების ურთიერთგაზიარების გზით სკოლის სტრატეგიული მართვის მეცნიერება განვითარდეს სკოლის მართვის მეცნიერების დონეზე. თუ ამას შევძლებთ, აგრეთვე იმასაც, რომ ეს მეცნიერება გავაჯეროთ რაციონალური იდეებით, ეს უსათუოდ ჰქონება დადებითი ასახვას სკოლების ეფექტიანობაზე. კერძოდ, თუ ჩვენ შევძლებთ სკოლის სტრატეგიული მიზნების სწორად განსაზღვრას, სტრატეგიული მიზნებისა და სტრატეგიის რაციონალურ ადეკვატურობას, პერსონალის მოტივაციის ეფექტური კონცეფციის ჩამოყალიბებას, ეფექტური მონიტორინგის სისტემის შექმნას (განსაკუთრებით სასწავლო მიმართულებით), ხარისხიანი და სწრაფი კომუნიკაციის სისტემის ჩამოყალიბებას, რაც მთლიანობაში შეადგენს სკოლის მართვას, საფუძვლებელია, რომ უმაღლესი ეფექტიანობის სკოლების ფორმირების თეორიულ საფუძვლებს შევქმნათ.

6. კვლევის მეთოდები

მეთოდი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „გზას რაიმესაკენ“. მეცნიერული კვლევის მეთოდი მეცნიერული ცოდნის მიღების არსებითი საშუალებაა. თუ მეთოდი არის კვლევის ერთ-ერთი საშუალება, მეთოდოლოგია ამ საშუალებათა ერთობლიობაა.

სკოლის მართვის მეცნიერების საკითხებზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად შეიძლება გამოვიყენოთ მეცნიერებისა და ფილოსოფიის ისტორიაში დანერგილი კვლევის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: დაკვირვება, ექსპერიმენტი, ინტუიცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი და სხვ. დაკვირვება ეს არის ჩვეულებრივ პირობებში, დამკვირვებლის ყოველგვარი ჩარევისა და ზემოქმედების გარეშე, სკოლის მართვის პროცესებზე გეგმიანი, წინასწარგანზრახული დაკვირვება.

მკვლევარი შეიძლება აკვირდებოდეს იმას, თუ რაოდენ ეფექტურად მოქმედებს მასწავლებელთა მოტივაციის კონცეფცია. გახდა თუ არა შესაძლებელი მისი განხორციელების საფუძველზე მასწავლებელთა სტიმულირება მეტი შედეგების მისაღებად. თუ კონცეფცია ვერ მოქმედებს, რა შეიძლება იყოს მიზეზი. დაკვირვების ობიექტი შეიძლება იყოს რომელიმე სტრატეგიული მიზნის განხორციელების პროცესი, ხორციელდება თუ არა ესა თუ ის სტრატეგიული მიზანი, ხოლო თუ ვერ ხორციელდება, რა არის მიზეზი.

დაკვირვება პერიოდულ ხასიათს ატარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ დამკვირვებლისათვის საინტერესო საგანი ეპიზოდურად მჟღავნდება, იგი უცდის მოვლენას და ამ მოვლენის გამოჩენის მომენტში ანარმოებს მის აღნიშვნას და გამოკვლევას.

ექსპერიმენტი არის წინასწარშემუშავებული გეგმით, ხელოვნურად შექმნილ პირობებში, მოვლენის გამოწვევა და მასზე დაკვირვება. ექსპერიმენტის საჭიროება განპირობებულია იმით, რომ დაკვირვება, როგორც კვლევის მეთოდი დამყარებულია შემთხვევითობაზე. მკვლევარი დამკვირვებელი იძულებულია უცადოს მოვლენას, როცა ის თავისთავად წარმოიშობა. ექსპერიმენტის საშუალებით კი ჩვენთვის საინტერესო მოვლენა, რომელზეც გვინდა დაკვირვება ვანარმოოთ, ხელოვნურად შეიძლება გამოვიწვიოთ.

ექსპერიმენტი შემეცნების წყაროს, ჰიპოთეზების და თეორიების ჭეშმარიტობის კრიტერიუმს წარმოადგენს.

ექსპერიმენტი სამ ეტაპს მოიცავს: 1. კვლევის ობიექტის გამოკვლევა; 2. აუცილებელი პირობების შექმნა და ხელშემშლელი ფაქტორების გამორიცხვა; 3. კვლევის ობიექტზე ან პირობებზე ზემოქმედება, დაკვირვება და გარკვეული დასკვნების გაკეთება.

ექსპერიმენტის მრავალ ნიშანთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არის ის, რომ მკვლევარს შესაძლებლობა ეძლევა ერთი და იგივე მოვლენა, ერთი და იმავე სახით, მრავალჯერ გამოიწვიოს. აგრეთვე შევალდებოდა მოვლენის გამოწვევა პირობები და ამგვარად, მოვლენაზე დაკვირვება ანარმოოს განსხვავებულ ვითარებაში.

ინტუიცია მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი მეთოდია, რომლის საშუალებითაც ხდება ერთეული ფაქტორებიდან ზოგად დებულებებზე გადასვლა. არისტოტელეს მიხედვით, ინტუიცია, ანუ ეპაგოგე არის ერთეულიდან ზოგადზე ასვლა. ჯ.ს. მილი, ინტუიციური მეთოდის კლასიკური მკვლევარი, ინტუიციას განმარტავს, როგორც ზოგადი დებულებების პოვნისა და დასაბუთების პროცესს.

მეცნიერების ისტორიაში არაერთი დიდი მოაზროვნე (არისტოტელე, პოპერი) ინტუიციურ მეთოდს არ მიიჩნევდა მეცნიერულ მეთოდად, ვინაიდან იგი არ შეიცავს აბსოლუტურ აუცილებლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთეულიდან ზოგადზე გადასვლა, როცა საქმე ეხება უსასრულობას, არასოდეს ატარებს აუცილებლობის ხასიათს, ვინაიდან უსასრულობის გამო ყველა ვერასოდეს ვერ შევამოწმებთ და ამიტომ არ არის გამოირიცხული საინფორმაციო შემთხვევების მიღების შესაძლებლობა. მაგრამ ინტუიციური მეთოდი დღეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია მეცნიერებაში. მისი მომხრეების მიხედვით, მეცნიერული ცოდნა არ არის აბსოლუტურად ზოგადი, უზოგადესი, ანუ აბსოლუტურად უეჭველი და აბსოლუტურად აპოდიქტური, არამედ მხოლოდ რელატიურად უეჭველი. ასეთი ცოდნის მიღება კი ინტუიციური მეთოდით სავსებითაც შესაძლებელია. ინტუიციური მეთოდი მხოლოდ მაშინ კარგავს მეცნიერულ სტატუსს, თუ ჩვენ მას აბსოლუტურის პრეტენზიას ნავუყენებთ, მაგრამ ვინაიდან მეცნიერული ცოდნა აბსოლუტური ხასიათის კი არ არის, არამედ რელატიურია, შესაბამისად, ინტუიციაც, როგორც რელატიური აუცილებლობის შემცველი ცოდნის მიღების მეთოდი, მეცნიერული მეთოდია.

თუ ინტუიციის შემთხვევაში მკვლევარი იწყებს ფაქტების შეგროვებით და შემდეგ აკეთებს გარკვეულ ზოგად დასკვნებს, დედუქციის შემთხვევაში, მკვლევარს აქვს ჰიპოთეზა, ანუ დებულება, რომელიც ვერ საკმაოდ ადარებს არ არის დასაბუთებული (ემპირიული მონაცემებით გამყარებული), იგი აგროვებს ფაქტებს, უპირისპირებს მოცემულ ზოგად დებულებას და ამ გზით ამოწმებს

მის ჭეშმარიტობას ან ჰიპოთეზა აპყავს მეცნიერული თეორიის დონეზე. ამიტომ, დედუქციურ მეთოდს ჰიპოთეზურ მეთოდსაც უწოდებენ.

ანალიზი ნიშნავს დაშლას, ხოლო სინთეზი – შეერთებას. ანალიზი არის მთლიანი საგნის ან მოვლენის გონებრივი, აზრობრივი დაშლა შემადგენელ ნაწილებად, მათი ცალკეული თვისებებისა და მხარეების გამოყოფა და თითოეული მათგანის ცალკე გამოკვლევა.

სინთეზი ანალიზის საპირისპირო მეთოდია. სინთეზი არის ანალიზის საშუალებით გამოცალკევებული ნაწილების, თვისებების, მიმართებების ერთ მთელად გაერთიანების პროცესი. მოვლენათა შესწავლა მოითხოვს როგორც მისი შემადგენელი ელემენტების გამოყოფას, ისე ამ ცალკეული ელემენტების ურთიერთდამოკიდებულების გააზრებას. სინთეზი ავსებს ანალიზს და მასთან განუყოფელ მთლიანობაშია მოცემული.

7. ზოგადი განათლებისა და სკოლის მართვის მეცნიერების მნიშვნელობა

როგორც ეკონომისტები ამბობენ, განათლება დადებით გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა პოლიტიკა, კრიმინოლოგიური ვითარება და ეკონომიკა. აი, რას ამბობს განათლების დადებით გარეგან ეფექტებზე ჰარვარდის პროფესორი, 2003-2005 წლებში აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე გრეგორი მენქიუ: „ერთი დადებითი ეფექტი ისაა, რომ უფრო მცოდნე მოსახლეობა ნიშნავს მეტად ინფორმირებულ ამომრჩევლებს, რაც ყველასათვის უკეთესი მთავრობის არჩევას გულისხმობს. მეორე დადებითი ეფექტი ისაა, რომ უფრო მცოდნე საზოგადოება აუმჯობესებს კრიმინოლოგიულ სიტუაციას. მესამე დადებითი ეფექტი ის არის, რომ უფრო განათლებული საზოგადოება ხელს უწყობს განვითარებას და ტექნოლოგიური მიღწევების გავრცელებას, რაც ყველას შრომის ნაყოფიერებასა და ხელფასის დონეს აამაღლებს“ (გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამ. „დიოგენე“, თბ. 2008, გვ.197).

განათლებისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით გრ. მენქიუ აგრეთვე აღნიშნავს, რომ „განათლებას – ადამიანური კაპიტალის ინვესტირებას – ქვეყნის გრძელვადიანი პერიოდის ეკონომიკური წარმატებისათვის, სულ ცოტა ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ფიზიკური კაპიტალის ინვესტირებას. შეერთებულ შტატებში სკოლაში გატარებული ყოველი წელი პიროვნების ხელფასს, საშუალოდ, დაახლოებით, 10%-ით ზრდის“ (იქვე, გვ.534).

ცნობილია აგრეთვე, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა შორის უმუშევრობის მაჩვენებელი 4%-ს შეადგენს, ხოლო საშუალო განათლების მქონეთა შორის – 14%-ს. მაშასადამე, თუ სკოლა ეფექტური იქნება და მის ბაზაზე მეტი მოსწავლე გააგრძელებს უმაღლეს სასწავლებელში სწავლას, პერსპექტივაში ეს უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირებას ნიშნავს.

კიდევ ერთი საინტერესო მონაცემი, გამოხატული ციფრებით, რომელიც მიუთითებს განათლების დადებით გავლენაზე ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებით, არის ევროპის განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის კვლევის შედეგი – ადამიანის ერთი წლით მეტი სწავლა ინვესტ ეკონომიკური ზრდის მატებას 3-6%-ით.

ამრიგად, თუ ჩვენ შევძლებთ სკოლის მართვის რაციონალური მეცნიერების შექმნას და შესაბამისად, სკოლის ეფექტურობის გაზრდას, რაც პროცენტულად მეტი მოსწავლის უკეთეს განათლებას ნიშნავს, ეს გააუმჯობესებს ვითარებას პოლიტიკურ, კრიმინოლოგიურ და ეკონომიკურ სფეროებში.

8. არძიტექტონიკა

მას შემდეგ, რაც გავიგეთ სკოლის მართვის მეცნიერების შესწავლის საგანი, შევვიძლია სკოლის მართვის მეცნიერების არქიტექტონიკის ფორმირება. არქიტექტონიკა ამა თუ იმ მეცნიერების ურთიერთდაკავშირებული საკითხებია, მათი თანმიმდევრობა, რომლებიც ერთ მთლიანობას ქმნის. მოკლედ განვიხილოთ სკოლის მართვის მეცნიერების არქიტექტონიკა.

სკოლის მართვის მეცნიერების პირველი ნაწილი სკოლის სტრატეგიული გეგმაა. ეს არის სკოლის გრძელვადიანი დეტალური

კომპლექსური გეგმა, რომელიც შემდეგ ნაწილებს მოიცავს:

- მისია და ხედვა;
- მიზნები;
- სტრატეგიები (და SWOT-ანალიზი);
- სტრატეგიების განხორციელება;
- მონიტორინგი.

სკოლის მართვის მეორე უმთავრესი ფუნქციაა ორგანიზაცია. იგი ორი ნაწილისგან შედგება: ა) ორგანიზაციული და მართვის სტრუქტურა, რომელიც მიზნების (სტრატეგიული გეგმის მეორე კომპონენტი) შესაბამისი უნდა იყოს; ბ) სტრუქტურის თითოეულ ელემენტზე უფლებამოსილებათა და პასუხისმგებლობების გადანაწილება.

მესამე ფუნქციაა პერსონალის მოტივირება – სკოლის მისიისა და მიზნების განხორციელებისათვის სკოლის აკადემიური, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის სტიმულირება. მეოთხე ფუნქცია – მონიტორინგი – გულისხმობს სკოლის მიზნებისა და სტრატეგიების განხორციელებაზე თვალყურის დევნებას, შეფასებას და პრობლემების არსებობის შემთხვევაში, მათი გადაჭრის ღონისძიებების განხორციელებას.

ზემოთ აღნიშნული ოთხი ფუნქცია სკოლის მართვის ძირითადი ფუნქციებია. გარდა ამისა, სკოლის მართვა მოიცავს დამაკავშირებელ ფუნქციებს, ესენია: კომუნიკაცია და გადანაცვლებები.

ინფორმაციის გაცვლა პროცესია, რომლის შედეგადაც სკოლის დირექტორი იღებს სწორი გადაწყვეტილების შესამუშავებლად საჭირო ყველა ინფორმაციას და მიღებული გადაწყვეტილება დაჰყავს შემსრულებლებამდე. კომუნიკაციამ უნდა უზრუნველყოს სკოლის მართვის ძირითადი ფუნქციების ეფექტური განხორციელება.

მართვის მეცნიერებაში გადანაცვლებების არსი, ჩემი აზრით, არ არის სრულყოფილად გადმოცემული. ამიტომ, საჭიროა გავცნოთ ფსიქოლოგიას, კერძოდ მის ისეთ საკითხს, როგორცაა ნებელობა, რომლის შემადგენელი ნაწილიცაა გადანაცვლებები. საინტერესოა აგრეთვე დავეყრდნობ მეცნიერებათმცოდნეობის დისციპლინებს, რომელთა შესწავლის საკითხიც არის ინტუიციური და დისკურსიული გადაწყვეტილებები.

სკოლის მართვის მეცნიერების ფორმირებისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ უმნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: ძალაუფლების ფორმები, მართვის სტილი, კონფლიქტებისა და სტრესების პრევენცია და მართვა, ჯგუფური დინამიკა და ა.შ.

განასხვავებენ ძალაუფლების მრავალ ფორმას: ა) იძულებაზე დამყარებული ძალაუფლება; ბ) დაჯილდოებაზე დამყარებული ძალაუფლება; გ) ექსპერტული ძალაუფლება; დ) ეტალონური ძალაუფლება; ე) კანონიერი ძალაუფლება; ვ) დარწმუნებაზე დამყარებული ძალაუფლება; ზ) მონაწილეობაზე დამყარებული ძალაუფლება. ისმება კითხვა: ძალაუფლების რომელი ფორმა უნდა გამოიყენოს დირექტორმა, რომლის გამოყენება გაუსვამს ხაზს თანასწორობას, მოყვასის ღირსების დაცვას, რომელი იქნება უფრო პროგრესული?

სკოლის მართვის მოდელი სამი სახის შეიძლება იყოს: ავტოკრატიული, დემოკრატიული და სიტუაციური. მიზანშეწონილია სკოლის მართვა დაეფუძნოს დემოკრატიულ და სიტუაციური მართვის მოდელს.

კონფლიქტი ეს არის უთანხმოება ორ ან მეტ მხარეს შორის, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს კონკრეტული პირობის ან ჯგუფების სახით. სტრესი კი სხვადასხვა სახის დაძაბულობის შედეგად გამოხატული რეაქციაა. კონფლიქტებისა და სტრესების თავიდან აცილება და მინიმუმამდე დაყვანა უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. „ჯგუფი ესაა ორი ან მეტი პირი, რომლებიც ურთიერთზე მოქმედებენ იმ სახით, რომ თითოეული პირი გავლენას ახდენს სხვებზე და იმავდროულად სხვის ზემოქმედებას განიცდის“ (მარჯინ შოუ). საჭიროა დაისვას კითხვები: რა სახის ფორმალური ჯგუფები შეიძლება არსებობდეს სკოლაში? რა არის საჭირო ჯგუფების ეფექტიანობის ამაღლებისათვის? როდის უნდა შევქმნათ ჯგუფები?

დავით ნაჭყავია

მარტვილის მუნიციპალიტეტი, დიდი ჭყონის N1 საჯარო სკოლის დირექტორი

მეგობრობა გზად და ხილად

„პაოსი და ქართლოსი ძმები ყოფილან, ჩვენ ორი ერის შვილები ვართ...“

რამდენიმე წელია მიმდინარეობს პროექტი „პარტნიორი“, რომელიც უკვე ორი წელია, ვმონაწილეობთ ახალციხის რაიონის სოფელ ჭაჭარაქის სომხური სკოლა (დირექტორი – მარინა ოქრომელიძე) და ვაშლევის საჯარო სკოლა (დირექტორი – ქეთევან ლურსმანაშვილი). ამ პროექტის მიზანია: ინოვაციური სწავლა/სწავლების მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების გზით სასწავლო პროცესის ხარისხის ზრდის ხელშეწყობა; მასწავლებელთა შორის კოლაბორაციისა და კომუნიკაციის ჩამოყალიბება; სწავლების ინოვაციური პრაქტიკის გამოვლენა-გაზიარება.

პროექტის ფარგლებში, 23 მაისს, ვაშლევის საჯარო სკოლაში მოწვეული იყვნენ ჭაჭარაქის სომხური სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები. ორმა მეგობარმა

სკოლამ ერთად აღნიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე – ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილები ისტორიაში, გეოგრაფიაში, ინგლისურში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში; მოხდა მეგობრული შეჯიბრი შაშა და ჭადრაკში.

საინტერესო და გამორჩეული იყო ერთობლივი ღონისძიება – სომეხი გოგო-ბიჭები ამაღლებულად, თავისებური აქცენტით წარმოთქვამდნენ ქართულ ლექსებს და მღეროდნენ. სტუმრებთან ერთად ვენვეით უბისის ტაძარს.

IX კლასში ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილი ისტორია-გეოგრაფიაში (პედაგოგები – თეა ბლიაძე, ლილი პაქსაშვილი), ჭაჭარაქის საჯარო სკოლის პედაგოგების – ვარსენიკ მინასიანისა და ლუსიე მინასიანის – მონაწილეობით. გაკვეთილზე საინტერესოდ იყო წარმოდგენილი საქართველოს ორი კუთხის – მესხეთისა და იმერეთის – გეოგრაფიულ-დემოგრაფიული მონაცე-

მები, გამოყენებულ იქნა სხვადასხვა აქტივობა. შეფასებისას მაღალი ქულები დაიმსახურეს სომეხი ეროვნების მოსწავლეებმა.

საინტერესო იყო ინტეგრირებული გაკვეთილი ქართულში VII კლასში, თემაზე – „წმინდა შუშანიკი“ (პედაგოგები – ქეთევან გოგოლაძე, სირენ ხაჩატურიანი). გაკვეთილზე სრულად იყო წარმოდგენილი ვარდან მამიკონიანის ოჯახური წარმომავლობა და მისი დამსახურება. გაკვეთილს ესწრებოდა პროექტის – „ქართული, როგორც მეორე ენა“ წარმომადგენელი მედეა ღვამინავა.

მოსწავლეებს შორის განმტკიცდა ურთიერთობა, პატივისცემა, სიყვარული და მეგობრობა.

ასევე ჩატარდა ღია გაკვეთილი ინგლისურ ენაში (პედაგოგები – მადლენა ღვინძი, კარინე მინასიანი), რომელიც იმით იყო გამორჩეული, რომ მოსწავლეები სამ ენაზე ურთიერთობდნენ.



გუარა ამბარიანი და არუსიქ გედელიანი ეწვივნენ II კლასის მოსწავლეებს (პედაგოგი – დარეჯან ქურციკიძე), გაკვეთილის თემა იყო „წმინდა შუშანიკი“.

ბი არიან. ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს, მაგრამ ყველაზე მთავარია სამშობლო – საქართველო.“ – ამ სიტყვებით დაასრულა გამოსვლა ქალბატონმა ქეთევანმა.

სტუმრებს განსაკუთრებით უხაროდათ ასეთი თბილი და მეგობრული სიტყვების მოსმენა. ჭაჭარაქის საჯარო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა მარინა ოქრომელიძემ, პედაგოგების სახელით, ვაშლევის საჯარო სკოლას ძვირფასი საჩუქარი – ხუთ ენაზე ნათარგმნი „ფეხისტყაოსანი“ გადასცა.

როგორც ქართული სტუმარ-მასპინძლობის წესი და ადათია, რითაც ქართველები ყოველთვის გამოიჩინებენ, საინტერესოდ განვილი დღე ქართულ სუფრასთან შევჯამეთ. შემდეგი მეგობრული შეხვედრა მასწავლებლის დღეს დაინიშნა, ჭაჭარაქის საჯარო სკოლაში. ჩვენ აუცილებლად ვენვეით მათ.

ქეთევან გომოლაძე
ვაშლევის საჯარო სკოლის
პედაგოგი



ძვირფასი მონაპოვარი

სტუმრების მოლოდინი და საქმიანი ფუსფუსი იყო გავაზის საჯარო სკოლაში (დირექტორი – ბატონი გიორგი სურამლიშვილი). მდიდარი ტრადიციების მქონე სოფლის და სკოლის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სასკოლო ეთნოგრაფიული მუზეუმის გახსნა.

აღმართისათვის ყველაზე დიდი პატივი და ღირსება ისტორიის პატივისცემაა. წარსულის მეგვიდრე და პატივით აღიარება და რუდუნებით აგროვება უძველესი ნივთების (XVII-XIX, ასევე XX საუკუნის 20-იან წლების) და ამზადებდა საინტერესო ექსპოზიციას – საზოგადოებას წარმოუდგინა „ერთი დიდი ძველი ოჯახი“ თავისი მუაცეცხლით და სკამ-ტაბაკით, კვერითა და ხა-

რი უღლით, სკივრითა და კიდობან-ზარდახით, ნაბად-ქალამნით, კოდით, ყურძნის სანეხითა და კიდევ უამრავი უძველესი ნივთით, რომელიც ნებისმიერ სახელმწიფო მუზეუმს დაამსვენებდა. ექსპონატები ეპოქების მიხედვითაა გამოფენილი. ექსპოზიციის ყოველ მონაკვეთს თავისი „მთხრობელი“ ჰყავს. მოსწავლეები ისე საინტერესოდ საუბრობენ თითოეული ნივთის წარმოშობასა და გამოყენების ისტორიაზე, რომ ყვარლის ილია ჭაჭაყაძის სახ. სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის, ქალბატონ თამარ ზურიაშვილის შექება დაიმსახურეს.

სასკოლო ეთნოგრაფიული მუზეუმის გახსნას ესწრებოდნენ: ყვარლის რესურსცენტრის ხელმ-

ძღვანელი და თანამშრომლები, ყვარლის ილია ჭაჭაყაძის სახ. სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი და თანამშრომლები, ყვარლის №1 საჯარო სკოლის წარმომადგენლები, სოფლის სკოლის დირექტორები, პედაგოგები და მოსწავლეები. სტუმრებმა ერთხმად აღიარეს, რომ სკოლამ „ძვირფასი მონაპოვარი“ შეიძინა.

მუზეუმის შექმნის მიზანი – მომავალი თაობისათვის თვალსაჩინო გახდეს უძველესი კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნივთები და ტრადიციები, არ იქნეს მივიწყებული წინაპრების ყოფაცხოვრება და ყველაფერი ის, რაც ქართულმა ეთნოგრაფიამ შემოგვინახა – მიღწეულია. ეს „მონაპოვა-

რი“ ჩვენი სოფლის საგანძურია, ჩვენი კულტურაა და თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს.

სასკოლო ეთნოგრაფიული მუზეუმი ჩვენი სკოლის პედაგოგებისათვის დამხმარე თვალსაჩინო მასალაა მომავალი თაობის სწორად აღზრდის, ზნეობრივად გამართული, ჯანსაღად მოაზროვნე, წარსულის პატივისმცემელი მოქალაქის ჩამოყალიბებისათვის. სასკოლო მუზეუმი ყოველთვის იქნება მშობლიური ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის სწავლებისათვის ხელშემწყობი გარემო და ადგილზე სწავლების შესანიშნავი რესურსი.

ლია ნონიაშვილი



„მსოფლიო ლიტერატურის ქალასიკოსები“


მიმდინარეობს ხელმონერა. შემოგვიერთდით!



- ალბერტო მორავია - მოწყენილობა
- ჯეიმზ ფ. კუპერი - ჯაშუში
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - დონ კისოტის დაბრუნება
- მარგარეტ ღიურასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
- ალბერ კოენი - დედაჩემი
- ჯონ გოლდსმორტი - რჩეული მოთხრობები
- პროსპერ მერიმი - ილეული ვენერა
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯონ ბრაინი - გზა ელიტისაკენ
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დინასტიისი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო

- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ძალთა ბედნიერება
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაილერ ჰაბარდი - მონტესუმას ასული
- სტენდალი - ნითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - სამი მემოარი
- შოლერლო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტაფან ცვინგი - მოუთხრობა გულისა
- მაინ რიდი - კვარტარონი
- ვილჰელმ ჰაუფი - ლისტენბანი
- თეოდორ დრაიზერი - დანიკო კერი
- ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები
- გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი

თითო ტომის ფასი - 12 ლარი




კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი თამაზ ვასაძე
~~11~~ ლარი
9 ლარი




„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
თამაზ ბეროზაშვილი
10 ლარი

გამოცემლობა „ლიოგენსა“ და გაზეთ „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი




მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი




საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი




ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია რენესანსიდან დღემდე
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომიანი
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი



„რა არის რა“ 50-ტომიანი ერთი ტომის ფასი ნახევრად 11 ლარისა 9 ლარი

- ❖ მსოფლიოს 7 საოცრება
- ❖ ავტომობილი
- ❖ აბინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამომგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები

- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბარძეთი
- ❖ სამურანი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩამირული ძალბაძები
- ❖ ძივია
- ❖ მემოგრაფიები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა

ქართული მწერლები

- ❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომიანი), I-V ტომი - 11 ლარი
- ❖ მინაილ ჯავახიშვილი (7-ტომიანი), I-VII ტომი - 11 ლარი
- ❖ ლევან გომთუა (7-ტომიანი), I-II ტომი - 16 ლარი
- ❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომიანი), I-II ტომი - 15 ლარი
- ❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომიანი), I, VI, VII, VIII ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ ვახტანგ ჭიჭინაძე (9-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომიანი), I-V ტომი - 12 ლარი
- ❖ ოტია იოსელიანი (10-ტომიანი), I-X ტომი - 12 ლარი
- ❖ თამაზ ჭიჭინაძე (6-ტომიანი), I-VI ტომი - 10 ლარი
- ❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომიანი), I-V ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმონერის თანხა გადმორისხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმონერები!



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბაღაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >